ლელო

№ 94
(11 346)

3 – 6 დეკემბერი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

SYDNEY 2000

16 + 3 – ახლა უკვე ამდენი ოლიმპიელი გვყავს

რიგები სამი ძალოსნით შეივსო

კარგა ხანია იმის მოლოდინში ვიყავით, რომ ჩვენი ძალოსნები აუცილებლად მოიპოვებდნენ ლიცენზიას სიდნეიში სასპარეზოდ. ეს დროც დადგა — ათენში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც ფაქტობრივად უნდა გარკვეულიყო თუ ვინ გაემგზავრებოდა მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე, საქართველოს ათლეტებმა სამი ლიცენზია მოიპოვეს. ყველაზე მეტი ლიცენზია (4-4) წილად ხვდათ ბერძნებს, ჩინელებს, ტაივანელებს, ბულგარელებს, ტაილანდელებს, ნიგერიელებს და აშშ-ის წარმომადგენლებს. საქართველოს ათლეტები გუნდურ ჩათვლაში 21-ე ადგილზე დარჩნენ, მაგრამ როგორც საერთო, ისე პირად ჩათვლაში მიღწეული შედეგები საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ საქართველოს სამი ლიცენზია მიეღო.

ჩვენებიდან პირად ჩათვლაში ყველაზე საუკეთესო შედეგს მიაღწია 85 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგი ასანიძემ, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა და მცირე ოქროს მედალს დაეუფლა ატაცში — 177,5 კგ. მას 2,5 კგ-ით აჯობა ბერძენმა პიროს დიმასმა. აკვრაში 200 კგ დაძლია (IX ადგილი). ორჭიდში გიორგი მეექვსე იყო. ორჭიდის ჯამში კი ირანელმა შ. ნასირინაიმ დაისაკუთრა ოქროს მედალი — 390 კგ. იგი აკვრაშიც უძლიერესი იყო — 215 კგ. 105 კგ. წონით კატეგორიაში მუხრან გოგიას IV ადგილი ხვდა ორჭიდში (187,5+200).

ვალერი სარავამ (105 კგ) მხოლოდ 362,5 კგ. მოაგროვა (162,5+200) და უადგილოდ დარჩა. გიორგი კობალაძე (მძიმე) 21-ე ადგილზე გავიდა — 377 (167+210). ალეკო ნოზაძე (მძიმე) 24-ე იყო (162,5 + 192,5).

ჩვენი ათლეტები 140 ქულით 24-ე ადგილზე გავიდნენ 94 ქვეყანასთან პაექრობაში. სწორედ ამ შედეგმა მოგვიტანა სამი ლიცენზია, რომლის მიღმა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი წესით კონკრეტული სპორტსმენები არ დგანან. ამას თავად გადაწყვეტს ეროვნული ფედერაცია, დასაშვებია ერთ წონაში ორი ძალოსნის გამოყვანაც. ცხადია, ალბათ, სიდნეიში მაინც ისინი წავლენ, ვინც ათენში გამოიჩინა თავი, უფრო მესამე კანდიდატურის საკითხი გახდება გასარკვევი. გააჩნია ვინ აჩვენებს უკეთეს შედეგს ოფიციალურ საერთაშორისო (თუ ფული გამოინახა) ან შინ გამართულ საკონტროლო შეჯიბრებაში.

გიორგი ასანიძე

აქვე დავძენთ, რომ ჩვენმა ყოფილმა ათლეტმა, ამჟამად საბერძნეთის მოქალაქემ კახიოს კახიაშვილისმა სამი ოქროს მედლით გაახარა თავისი ახალი სამშობლო. ატაცში მან 188 კგ დაძლია და პირველობასთან ერთად მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა (ჩათვლაში შევიდა 187,5) უძლიერესი იყო აკვრაშიც — 225 და ორჭიდშიც — 412,5.

გაიმართა ქალთა ასპარეზობაც. აქაც ჩინელები დომინირებდნენ. სამი ოქროს მედალი (აკვრა, ატაცი, ორჭიდი) მოიპოვა ამ ქვეყნის წარმომადგენელმა მ. დინმა 75 კგ წონით კატეგორიაში.

რაგბი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

დათვი მაინც დათვია, ყოჩებთანაც კი...

მორაგბეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ჩემპიონის ვინაობა ვადამდე გახდა ცნობილი. ეს გუნდია ბათუმის „დათვები'', რომელმაც ღირსეულად მოიპოვა უძლიერესის სახელი და ქვეყანას დაანახვა, რომ იქ, სადაც სპორტს ყურადღებით ეკიდებიან, წარმატებებიც არ აყოვნებს.

ბოლო ტურისწინა მატჩი ბათუმელებმა შინ ჩაატარეს „თბილისის'' „ყოჩებთან''. ამ დროისათვის სტუმრებს მოთავებული ჰქონდათ ჩემპიონატი და უძლიერესის სახელის მოპოვების შანსი იმ შემთხვევაში ეძლეოდათ თუ საკუთარ „კედლებში'' დაამარცხებდნენ „დათვებს''. შანსიო, ვამბობთ, რადგან ბოლო ტურში „დათვები'', რკინიგზელებს უპირისპირდებიან თბილისში. ბათუმელებმა, ცხადია, საქმე სამარჩიელოდ არ გაიხადეს და საკუთარ მოედანზე (ანგისაში) იზეიმეს წარმატება. არადა, „ყოჩები'' ამ მატჩამდე მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩებოდნენ დღეს უკვე ჩემპიონ გუნდს.

მასპინძლებმა საკმაო ქომაგების წინაშე ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს სტუდენტებს. მატჩი ღირსეულ მეტოქეობაში წარიმართა. გარდამავალ უპირატესობაში პირველებმა წარმატებას მაინც მასპინძლებმა მიაღწიეს, თუმცა ანგარიში მალე გათანაბრდა — 5-5. ამ წარმატებამ თითქოს ფრთები შეასხა „ყოჩებს'', მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია, პირიქით კი მოხდა — ბათუმელებმა კიდევ გაიტანეს ლელო და მატჩის პირველი ნახევარიც ასე დასრულდა — 10:5.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე „დათვებმა'' მესამე ლელო გაიტანეს, რომელიც გუნდის კაპიტნის, მატჩის ალბათ ყველაზე გამორჩეული მოთამაშის ნუგზარ ძაგნიძის წილად მოდის, იქვე ბათუმელებმა გარდასახვაც გამოიყენეს და... 17:5.

მატჩის ქრონომეტრაჟის მიხედვით, ამის შემდეგ, ანგარიში დაძაბულ პაექრობაში ასე იცვლებოდა: 17:10, 22:10, 25:10, 28:10, 17:28. ტაბლოზე საბოლოოდ ეს ანგარიში (28:17) დაფიქსირდა ბათუმელთა სასარგებლოდ. მაგრამ თამაშის შემდეგ დაფიქსირდა დიდი სირცხვილიც. „ყოჩებმა'' ყოჩობა მხოლოდ მსაჯთან დაამტკიცეს და ნ. რობიტაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

საქართველოს ახალი ჩემპიონი ბათუმის „დათვები'' ამ მატჩს ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ფირცხალავა, გურეშიძე, რეხვიაშვილი, აბაშიძე, სვანიძე, გოგისვანიძე, აბდალაძე, ფხაკაძე, გიორგაძე, ნ. ძაგნიძე, ხონელიძე, შარვაშიძე, წოწენიძე, ჩუბინიძე, მაჩიტაძე, აბაშიძე, თევდორაძე, გიორგაძე, ჯანაშია.

ჩემპიონის მწვრთნელია რამაზ სვანიძე, აჭარის რაგბის კავშირის პრეზიდენტი — ილია წულუკიძე.

ვულოცავთ!

„ლელოს“ საკ. კორ.
ბათუმი (ფაქსით)

გაიმართა ფეხბურთში საქართველოს თასის მერვედფინალის კენჭისყრა

გთავაზობთ წყვილებს:

ტორპედო — შსს აკადემია; კოლხეთი (ფოთი) — მერანი; ვიტ-ჯორჯია — თსუ; ლოკომოტივი — თბილისი; დინამო (ბათუმი) — გორდა.

თუმცა, სამი მერვედფინალისტის ვინაობა ჯერ უცნობია. „მეგრი'' — „დილა'', „მარგვეთი'' — „იბერია'' და „გურია'' — „კოლხეთი'' (ხობი)-ის შედეგები მატჩების სავარაუდოდ გაირკვევა უახლოეს დღეებში. ამ წყვილებში გამარჯვებულები შესაბამისად, „ზოოვეტს'', „სამგურალს'' და თბილისის „დინამოს'' შეხვდებიან. აღსანიშნავია, რომ ხობელებმა 40 წუთით დაიგვიანეს ლანჩხუთში ჩასვლა, რის გამოც არაა გამორიცხული, რომ წაგება (0-3) ჩაეთვალოთ. ეს საკითხიც მალე გაირკვევა.

მეგრი ან დილა — ზოოვეტი; მარგვეთი ან იბერია — სამგურალი; დინამო (თბილისი) — გურია ან კოლხეთი (ხობი)

მერვედფინალური მატჩების გამართვის თარიღი მოგვიანებით გაირკვევა.

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ვანო ზოდელავას პროგრამა „ნინო სალუქვაძე - სიდნეი-2000'' ამუშავდა

როგორც ვიუწყებოდით, მოახლოებული ოლიმპიური თამაშებისთვის ჩვენი სახელოვანი ტყვიის მსროლელის ნინო სალუქვაძის მომზადება და თამაშებში მონაწილეობა თბილისის მერიამ აიღო თავის თავზე. ეს საჯაროდ განაცხადა დედაქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ XX საუკუნის ლაურეატ ქართველ სპორტსმენთა საზეიმო დაჯილდოების ცერემონიაზე. ბატონ ვანოს სიტყვა არც ამჯერად გაუტეხია – ნინო სალუქვაძე და მისი მწვრთნელი და მამა ვახტანგ სალუქვაძე უკვე გაემგზავრნენ გერმანიაში, ორკვირიან შეკრებაზე, სადაც ქ. დორტმუნდში ნ. სალუქვაძე გერმანელ სპორტსმენებთან ერთად სპორტულ ცენტრში გაივლის წინასაოლიმპიადო მომზადებას. მამა-შვილის გერმანიაში მივლინებისთვის მერიამ 5200 აშშ დოლარი გამოყო.

ანონსი

„ლელოს“ მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ ნაწყვეტს გივი გამრეკელის გამოუქვეყნებელი წიგნიდან „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“. გაგაცნობთ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ფეხბურთელის დიეგო არმანდო მარადონას განვლილ გზას პატარა ფეხბურთიდან დიდ აღიარებამდე.

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი ძალიან საინტერესოდ გამოიყურება სტატისტიკის სარკეში (იხ. მე–3 გვ).

როგორ წარმოგიდგენიათ სპორტი სახელმწიფო სტრუქტურაში?

ეს იყო მთავარი თემა, რომელიც „ლელომ“ წამოწია დღის წესრიგში. ჩვენ ვთხოვეთ სპეციალისტებს მონაწილეობა მიეღოთ გამოკითხვაში, რომელშიც შეგნებულად არ ჩავვირთავს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაკები, რათა გარეშე თვალით, მიუკერძოებლად დაგვენახა რეალობა, გაგვეგო ვინ რას ფიქრობს და რატომ ფიქრობს ასე.

სატელეფონო გამოკითხვაში მონაწილეობდა 112 სპეციალისტი. ისინი პასუხს იძლეოდნენ ერთადერთ შეკითხვაზე:

1. სპორტის ხელმძღვანელი სახელმწიფო რგოლი ცალკე უნდა ფუნქციონირებდეს თუ აუცილებელია მისი გაერთიანება სხვა დარგთან, კერძოდ, ვისთან?

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ გამოკითხვამ დიდი ინტერესი გამოიწვია. როგორც ჩანს, სპორტის სპეციალისტები ამ საკითხზე ფიქრობენ და ბჭობენ კიდეც კოლეგებთან. ალბათ ამიტომაც პასუხები გამოკვეთილი და საკმაოდ დასაბუთებულიც გამოდგა.

გამოკითხულთა 66 პროცენტი თვლის, რომ ყველა დარგს უნდა ჰყავდეს თავისი პატრონი. შერწყმა-გაერთიანებას იშვიათად თუ მოაქვს სასურველი შედეგი. გამოკითხულთა დიდი ნაწილი ხაზს უსვამს იმას, რომ მთავარია დაფინანსება და არა „სავარძლების გადაადგილება“, რომ ეს გაკვეთილი ერთხელ უკვე გავიარეთ. მთავარი ის არის, რისთვის უნდა მოისურვოს სახელმწიფომ დარგების გაერთიანება — მმართველების აპარატის ხარჯების შესამცირებლად თუ საქმის გამოსასწორებლად. თუ საქმე იგულისხმება, აქ გადამწყვეტია დაფინანსება, რომლის მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება ცალკე მმართველ ორგანოს ფუნქციონირებისას უფროა შესაძლებელი. ეს აქსიომაა. თუ ზედმეტი შტატის შემცირებაზეა ლაპარაკი, ეს „პრობლემა“ ცხოვრებამ თავად მოაგვარა — სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელთა რიცხვი 32-მდე შემცირდა. მაშ ასე, ცალკე სტრუქტურას მხარს უჭერს 66 პროცენტი, გამოკითხულთა 12 პროცენტი თვლის, რომ გაერთიანება, კერძოდ, განათლებასთან ყველაზე ხელსაყრელი იქნება ქართული სპორტისთვის, 10 პროცენტი ისევ ტურიზმთან დაბრუნებას ემხრობა, 5 პროცენტს მიაჩნია, რომ ხსნა სპორტის ეკონომიკის სამინისტროსთან შეერთებაშია. 7 პროცენტისთვის სულ ერთია, რაც იქნება, არაფრის იმედი აღარა აქვთ.

ლარის ოფიციალური კურსი: 1 აშშ დოლარი – 1.9800

სპორტის ეროვნული ფუნქცია

> „სპორტი ქართველი კაცისათვის თვითგამოვლენისა და თვითდამკვიდრების საშუალებაა. სახელმწიფომ უნდა მისცეს ამ უფლების რეალიზაციის საშუალება და დაეხმაროს, უნინარესად, ჩვენს უნიჭიერეს ახალგაზრდობას“.
>
> ა. ზიბარდნაძე

დიახ, ეროვნული და არა მხოლოდ საზოგადოებრივი, სოციალური, ეკონომიკური, თუნდაც პოლიტიკური ფუნქცია.

საკითხი, რომელიც ამ წერილის თემად იქცა, თავისთავად დიდი ხანია არსებობს და იმ წიაღშია დასაძებნი ფესვები, როცა ერი და სპორტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ერთმანეთთან მიმართებაში, როგორც ცნებები, ჩამოყალიბდა.

ერის განსაზღვრის თავდაპირველ შინაარსში, კრებსითად ეთნოსის და ყოფის უამრავი ნიშანდობლივი ხასიათის თვისებები თუ ელემენტები მოიაზრება. სპორტი ევოლუციის შედეგია, იმ ევოლუციისა, რაც ადამიანის საარსებო გამოყენებითმა საშუალებებმა განიცადა საუკუნეების განმავლობაში. ცხადია, თავისთავად არც ერთი სპორტის სახეობა არ წარმოქმნილა. რბენას თუ ხტომას, შემდეგ მშვილდოსნობას თუ ცხენოსნობას, ფარიკაობას თუ ძალოსნობას და ა.შ. თავდაპირველი დანიშნულება ჰქონდა, ჯერ როგორც ინდივიდისთვის, ისე თემისთვის, შემდეგ საზოგადოებისთვის, ერისთვის... ევოლუციამ შეუცვალა მათ დანიშნულება, მაგრამ დარჩა, როგორც ხალხის საგანძური, ერთობლიობაში იქცა კაცობრიობის საუნჯედ, სადაც მეტნაკლებად თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი ცალკეულ ერებს.

ქართველური ტომები და საქართველო თავისი წარსულით და აწმყოთი მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილია და თუ ვინმეს შეუძლია განსაკუთრებით მოიწონოს თავი ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების სიმრავლით, მათ შორის ვართ ჩვენც — ქართველები.

ქართველი ერის ისტორია ღრმა მეცნიერული კვლევის საგანი მაინც ჩვენს საუკუნეში გახდა, განსაკუთრებით საბჭოთა ეპოქაში და, რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილებმა უფრო ფართოდ ვერ წარმოაჩინეს წარსულის ცალკეული დარგები ეროვნული თვალთახედვის მნიშვნელობით, დრო იყო ასეთი. იგივე ბედი ეწია ქართველი ერის ისტორიაში სპორტის ფუნქციის წარსულის, აწმყოს და მომავლის ჯეროვან შეფასებას. ეს ალბათ მომავლის საქმეა. ჩვენ მხოლოდ ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ ასპექტზე ზოგადად, ვინძლო სტიმულად ექცეს მკვლევართა ახალგაზრდა თაობას.

უპირველესი ფუნქცია ოდითგანვე იყო, არის და იქნება სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულ თაობათა აღზრდა. ეს პრინციპი ჩინებულად იყო განივთებული ფიზიკური აღზრდის ხალხურ სისტემაში, როცა წრე ბალღთა და პაპათა ოსტატ-შეგირდობით იკვრებოდა. ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს უმდიდრესი ტრადიციები. უდავოდ მისასალმებელია სამეგრელოში ამ მიმართებით გაწეული მუშაობა. აქ უკვე შეუკრებიათ ხალხში ოდითგანვე დამკვიდრებული თამაშები, რომლებიც მეტწილად საბრძოლო და შრომითი გამოყენებითი ხასიათისაა. ეს უდიდესი სიმდიდრე ამ დღეებში საჯაროდ წარმოაჩინეს გიორგობის დღესასწაულზე ჯვარის დასახლებაში, რამაც დამსწრეთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

ქართული ორთაბრძოლების კვლევის ქართველ მეცნიერთა ტრადიციებს დიდი შემართებით და ახლებური მიდგომით აგრძელებს საბრძოლო ხელოვნების ცნობილი ოსტატი იური ყეინაშვილი, რომლის გამოკვლევები სისტემატურად იბეჭდება „ლელოს“ ფურცლებზე.

რაც უფრო მდიდარია ხალხური საწყისები, მით უფრო ძლიერია ესა თუ ის ქვეყანა სპორტის საერთაშორისო სახეობებში. ჩვენი ქართული ჭიდაობის, ლელობურთის და სხვა ეროვნული სახეობების დამსახურებაა, რომ ქართველმა ახალგაზრდობამ ასე წარმატებით გაითავისა სპორტის საერთაშორისო სახეობები და დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

ისეთ პატარა ერს, როგორიც ჩვენ ვართ, მსოფლიოში თავგამოჩენის შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევს სპორტი, კერძოდ, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. ამდენად, სპორტს განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება ჩვენნაირი პატარა ქვეყნებისთვის. ეს ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ.

მიმომხილველი

დაფუძნდა ახალი ფონდი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი — „მამულიშვილთა გახსენება“ — ასე ჰქვია ამ, ახალ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც რეგისტრაციაში გაატარა იუსტიციის სამინისტრომ (ფონდის თავმჯდომარე ცნობილი ქველმოქმედი ბონდო კობაძე). დაფუძნებამდე ბონდო კობაძეს არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება ჩაუტარებია საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ფონდის წესდებაში ფართოდაა წარმოდგენილი სპორტული ღონისძიებები, რომელიც დაამშვენებს „ღირსეულ მამულიშვილთა“ გახსენების პროგრამას. ამასთან, ჩატარდება მოსახლეობისა და იძულებითი ადგილნაცვალთა სამედიცინო — პროფილაქტიკური გასინჯვები, დიაგნოსტიკური გამოკვლევები, მედიკამენტების უფასოდ გადაცემა და სხვა ჰუმანიტარული დახმარებები.

მილოცვები

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს ***ოთარ კალაძეს.***

* * *

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ამავე ფედერაციის გამგეობის წევრს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ***გივი ჩხარტიშვილს.***

* * *

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ამავე მერიის განათლების მთავარი სამმართველოს ტანვარჯიშის სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სკოლის დირექტორს ***გივი ჩხარტიშვილს.***

* * *

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თბილისის საქალაქო ორგანიზაცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ტანმოვარჯიშეთა თაობების აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ***გივი ჩხარტიშვილს.***

ქართული გვარ-სახელები ქართულ სპორტში

იაკობ ახუაშვილის გამოკვლევების მიხედვით

ახალკაცი

*ისტორიულ წყაროებში ეს გვარი 1721 წლიდან მოიხსენიება. **ახალკაცი**-ი გადმოცემით, ბატონისგან გამოქცეული და სხვა სოფელში შეხიზნული ყმა იყო. რაკი საკუთარ გვარს ვერ ამჟღავნებდნენ, **ახალკაცს** ირქმევდნენ. შეადარეთ ახალკაციშვილი, ახალმოსულიშვილი, ახალშენიშვილი. „ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში ქ. წრაურთს, 1721 წ. **ახალკაცი** სეხნია“ (ვახუშტი, 159).*

*ქართულ სპორტში გვარის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია **ნოდარ ახალკაცი.***

გავიხსენოთ ჩემპიონები


გივი კარტოზია

შოთა ლომიძე

ანზორ კიკნაძე

არსენ მეკოკიშვილი

კონსტანტინე კობერიძე

ავთანდილ ქორიძე

რომან ძნელაძე

ვლადიმერ რუბაშვილი

ჯიბილო ნიჟარაძე

ტარიელ ალიბეგაშვილი

ფარნაოზ ჩიკვილაძე

დავით გვანცელაძე


შალვა ჩიხლაძე

ოთარ შინჯიკაშვილი

ესტატე ქარქუსაშვილი

შოთა დაუშვილი

„ლელოს“ 81-ე ნომერში (19.21 ოქტომბერი) გამოქვეყნებულ წერილში — „ისინი ზრდიდნენ ჩემპიონებს...“ საუბარი იყო საქართველოს სახელოვან ფალავანთა აღმზრდელ მწვრთნელებზე. გავიხსენეთ დამსახურებული ადამიანები. ამჯერად კი გვინდა ამქვეყნიდან წასული ცნობილი ჩემპიონები მოვიგონოთ.

გივი კარტოზია (1929-1998). წლეულს, 19 ოქტომბერს ის XX საუკუნის საქართველოს სპორტსმენთა შორის მეორე ნომრად დასახელდა. პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი (1953 წელი, ნეაპოლი, I ადგილი 79 კგ). ოლიმპიური თამაშების (1956 წ. მელბურნი) და მსოფლიო სამგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

შოთა ლომიძე (1936-1993). დასახელებულია საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენთა შორის (ლაურეატი). მსოფლიო ორგზის ჩემპიონი (1969 წ. მარდელ-პლატა, I ადგ. 100 კგ. 1971 წ. სოფია, I ადგ. 100 კგ), ევროპის (1966 წ. კარლსრუე, 1969, სოფია) ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

ანზორ კიკნაძე (1934-1976). ევროპის (1962 წ. ესენი, 1964 წ. ბერლინი. 1965 წ. მადრიდი, 1966 წ. ლუქსემბურგი) ოთხგზის ჩემპიონი აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, XVIII ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი ძიუდოში, სსრკ ხუთგზის ჩემპიონი სამბოში, საქართველოს ხუთგზის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში.

არსენ მეკოკიშვილი (1912-1972). დასახელებულია საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენთა შორის (ლაურეატი). ოლიმპიური თამაშების (1952) და მსოფლიო ჩემპიონი (1954) თავისუფალ ჭიდაობაში. გამოდიოდა მოსკოვის სახელით. სსრკ მრავალგზის ჩემპიონი სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს სამგზის ფალავანი (1936-1937-1938) ქართულ ჭიდაობაში.

კონსტანტინე კობერიძე (1917-1964). ევროპის პირველი ქართველი ჩემპიონი (1947 წელი) ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (87 კგ.): გამოდიოდა მოსკოვის სახელით სსრკ აბსოლუტური ჩემპიონი სამბოში (1939 წ.)

ავთანდილ ქორიძე (1935-1966). დასახელებულია საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენთა შორის (ლაურეატი). ოლიმპიური თამაშების (1960 წ. რომი I ადგ. 67 კგ). და მსოფლიო (1961 წ. იოკაჰამა, I ადგ. 67 კგ) ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

რომან ძნელაძე (1933-1966). ოლიმპრიური თამაშების (1956 წ. 62 კგ.) ბრინჯაოს პრიზიორი, სსრკ პირველი სპარტაკიადის (1956) ჩემპიონი, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

ვლადიმერ რუბაშვილი (1940-1965). მსოფლიო (1961 წ.) ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (63 კგ). ოლიმპიური თამაშების (1960) ბრინჯაოს პრიზიორი (62 კგ).

ჯიბილო ნიჟარაძე (1946-1993). ევროპის ჩემპიონი (1975 წ. ლიონი I ადგ. +93 კგ.) სსრკ VI სპარტაკიადის (1975) ჩემპიონი, სსრკ ორგზის ჩემპიონი (1974-75) მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1973 წ.) ძიუდოში.

ტარიელ ალიბეგაშვილი (1945-1991). მსოფლიოს ჩემპიონატის (1969 წ. 52 კგ.) ბრინჯაოს პრიზიორი, სსრკ V სპარტაკიადის (1971) ჩემპიონი (57 კგ.), სსრკ ორგზის (1965-1972) ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

ფარნაოზ ჩიკვილაძე (1941-1966). ოლიმპიური თამაშების (1964 წელი) ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის (1964-1966) ორგზის მეორე პრიზიორი ძიუდოში.

დავით გვანცელაძე (1937-1984). ოლიმპიური (1964 წელი) თამაშების ბრინჯაოს და მსოფლიო ჩემპიონატის (1963 წელი) ვერცხლის პრიზიორი (70 კგ), ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

შალვა ჩიხლაძე (1912-1997) XV ოლიმპიური თამაშების (1952) მეორე პრიზიორი (87 კგ.), სსრკ მრავალგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

ოთარ შინჯიკაშვილი (1927-1984) სსრკ ორგზის ჩემპიონი სამბოში (1954-1955). (მძიმე წონა).

ესტატე ქარქუსაშვილი (1921-1969) სსრკ ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1951), ხუთგზის სსრკ ჩემპიონი სამბოში (72 კგ.)

შოთა დაუშვილი (1927-1990) სსრკ სამგზის ჩემპიონი სამბოში (1947-49), სსრკ ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1953 წ. 87 კგ.).

ბაბრიელ ბარჯაძე

ფეხბურთში XI ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის სტატისტიკა

ჩატარებულ 112 შეხვედრაში გატანილია 286 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში — 2,5).
მასპინძლებმა გაიტანეს 173 (რაც შეადგენს გატანილი გოლების 60,5%-ს), ხოლო სტუმრებმა — 113 ბურთი (39,5%).
„ა“ ზონაში გატანილია 147 (გატანილი გოლების 51,4%), აქედან მასპინძლებმა გაიტანეს 89 ბურთი, სტუმრებმა — 58.
„ბ“ ზონაში გატანილია 139 (48,6%), აქედან მასპინძლებმა გაიტანეს 84 ბურთი, ხოლო სტუმრებმა — 55.

● **ჩატარებულ** 112 შეხვედრიდან მასპინძლებმა გაიმარჯვეს 56 შეხვედრაში (50%), ფრედ დამთავრდა 26 მატჩი (23,2%), ხოლო სტუმრებმა გაიმარჯვეს 30 შეხვედრაში (26,8%..).

„ა“ ზონაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს 28 შეხვედრაში (50%), ფრედ დამთავრდა და სტუმრებმა გაიმარჯვეს 14-14 შეხვედრაში (25-25%).

„ბ“ ზონაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს 28 შეხვედრაში (50%), ფრედ დამთავრდა 12 შეხვედრა (21,5%), სტუმრებმა გაიმარჯვეს 16 შეხვედრაში (28,5%).

● **პირველი ეტაპის** საუკეთესო ბომბარდირებია: მ. აშვეთია და რ. ალექსიძე (ორივე — „დინამო“, თბ.) — 12-12 ბურთი.

თავიანთი გუნდების საუკეთესო ბომბარდირები გახდნენ:

„დინამო“ თბ. — მ. აშვეთია და რ. ალექსიძე — 12-12 ბურთი
„ტორპედო“ — ზ. იანანიძე — 11
„დინამო“ ბთ. — შ. აფხაზავა — 4
„ლოკომოტივი“ — ლ. ქებაძე — 9
„კოლხეთი-1913“ — ჯ. შალამბერიძე და ზ. ღალანიძე — 4-4
„ვიტ-ჯორჯია“ — გიორგი ქორიძე — 8
„არსენალი“ — გ. გონჩაროვი — 4
„მერანი-91“ — ლ. თოლორდავა, ა. დევიძე და ბ. ამბიძე — 3-3
„დილა“ — ხორგუაშვილი — 5
„სამგურალი“ — ძოძუაშვილი — 3
„იბერია“ — გეგეშიძე — 3
„თსუ“ — ადამია და გ. გვაზავა — 4-4
„გორდა“ — ვ. კილასონია — 6
„სიონი“ — დათუაძე, შაკიაშვილი და დ. გოდერძიშვილი — 3-3
„კოლხეთი“ — ვ. ჩიტაია — 5
„თბილისი“ — ლ. მელქაძე — 6.

● **დაფიქსირდა** ერთი ავტოგოლი. „დილა“ — „კოლხეთის“ შეხვედრაში საკუთარ კარში ბურთი გაიტანა ზურაბ აიანადიმ („კოლხეთი“).

● სულ მონაწილეობდა 351 ფეხბურთელი, აქედან ყველა შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 42 ფეხბურთელმა, ხოლო შეუცვლელად ყველა შეხვედრა ჩაატარა 8 ფეხბურთელმა, ესენია: ქობულაძე, („ლოკომოტივი“), ტოგონიძე და მ. მახარაძე („დინამო“, ბთ.); ნოზაძე („ვიტ-ჯორჯია“), ტორჩინავა („კოლხეთი-1913“); მერლანი (თსუ); ლურსმანაშვილი („იბერია“), გაბელაია („გორდა“).

● ყველაზე მეტი ფეხბურთელი ათამაშეს: „ლოკომოტივმა“ და „არსენალმა“ — 25-25. ყველაზე ნაკლები — „მერანი-91“-მა — 19, „გორდამ“, „ვიტ-ჯორჯიამ“ და „დინამო“, ბთ. — 20-20.

● **სულ** პირველ ეტაპზე შესრულდა 1 „პოკერი“ (მ. აშვეთია „დინამო“, თბ.); 2 „ჰეთ-თრიკი“ (იონანიძე — „ტორპედო“ და გოცირიძე — „ვიტ-ჯორჯია“). და 36 „დუბლი“ (2-2 ალექსიძე „დინამო“, თბ.); იონანიძე და მეგრელაძე („ტორპედო“); ქებაძე („ლოკომოტივი“), ხორგუაშვილი („დილა“; მელქაძე („თბილისი“).

● **პირველ ეტაპში** დაინიშნა 27 „პენალტი“. აქედან 15 დაარტყეს მასპინძლებმა, 12 — სტუმრებმა. რეალიზებულია 19 პენალტი, 70,3%. ტუღუშისა („დინამო“, ბთ.) და ქებაძის („ლოკომოტივი“) დარტყმები კარს ასცდა, ალექსიძის („დინამო“, თბ.) დარტყმა ძელს მოხვდა, ხოლო ტორჩინავას („კოლხეთი-1913“) დარტყმა მოიგერია *დოლიძემ* („იბერია“), მიქაძის („თბილისი“) — *ჩლაიძემ* („არსენალი“), მელქაძის („თბილისი“) — *ტოგონიძემ* („დინამო“ ბთ.), ალექსიძის („დინამო“ თბ.) — *ჩლაიძემ* („არსენალი“), მაჭუტაძის („დინამო“ ბთ.) — *ჯანელიძემ* („ლოკომოტივი“).

● ყველაზე მეტი პენალტი ***დაარტყეს:*** „თბილისმა“ — 7 (გაიტანა-5), „დინამო“, თბ.— 4 (გაიტანა-2); „სიონმა“ და „იბერიამ“ — 3-3 (ყველა რეალიზებულია). არც ერთი პენალტი არ დაურტყამთ: „ტორპედოს“, „ვიტ-ჯორჯიას“, „მერანი-91“-ს, „კოლხეთს“ და „გორდას“. ყველაზე მეტი პენალტი ***დაურტყეს:*** „სიონს“ — 4 (გაუტანეს — 3), „არსენალს“ — 4 (გაუტანეს 2), „ვიტ-ჯორჯიას“ — 3 (გაუტანეს-3), „თბილისს“ — 3 (გაუტანეს-2). არც ერთი პენალტი არ დაურტყამთ „კოლხეთი — 1913“ და „ტორპედოს“ კარში. ***ფეხბურთელებიდან*** ყველაზე მეტი პენალტი ***დაარტყეს:*** რ. ალექსიძემ („დინამო“, თბ) — 3 (გაიტანა-1) და ლ. მელქაძემ („თბილისი“) — .3 (გაიტანა — 2).

● **სტუმრად** ჩატარებულ მატჩებში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს: „ტორპედომ“ — 15, „დინამო“, თბ. — 14; „ლოკომოტივმა“ — 13. ყველაზე ნაკლები: „იბერიამ“ — 2; „დინამო“, ბთ — 3, თსუ-მ, „გორდამ“ და „არსენალმა“ — 4-4.

ფეხბურთელებიდან სტუმრად ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს: მ. აშვეთიამ („დინამო“, თბ.) და ლ. ქებაძემ („ლოკომოტივი“) — 6-6. გ. ქორიძემ („ვიტ-ჯორჯია“), ზ. იონანიძემ („ტორპედო“) და რ. ალექსიძემ („დინამო“, თბ.) — 4-4.

● სულ დაფიქსირდა დიდი ანგარიშით 25 მოგება — „დინამო“, თბ. და „ტორპედო“ — 5-5, „ლოკომოტივი“ — 3, „დინამო“, ბთ. „კოლხეთი-1913“, „ვიტ-ჯორჯია“ და „გორდა“ — 2-2; თითო გამარჯვება მოიპოვეს: „თსუ“-მ, „კოლხეთმა“, „თბილისმა“ და „დილამ“.

მეკარეები

● **თითო-თითო** მეკარე ათამაშეს: „დინამო“, ბთ (ტოგონიძე) და თსუ-მ (მერლანი). **2-2 მეკარე** ათამაშეს: „ვიტ-ჯორჯიამ“ (ჭურაძე და მამარდაშვილი); „არსენალმა“ (ჩლაიძე, კუპატაძე); „სამგურალმა“ (ბობოხიძე, ბოდოკია); „სიონმა“ (ვოლკოვი, დალაქიშვილი); „თბილისმა“ (ბათიაშვილი, ჩიხრაძე); „კოლხეთი-1913“-მა (გვასალია, ქვაჩახია); „მერანი-91“-მა (ნაჭყეპია, კოროშინაძე); „იბერიამ“ (ვარდანიძე, დოლიძე); „დილამ“ (სოლოღაშვილი, მდივანი); „კოლხეთმა“ (ბაბუაძე, ნიქაბერიძე), „გორდამ“ (ქორიძე და გონგაძე) **3-3 მეკარე** ათამაშეს: „დინამო“, თბ. (დონდტი, გრიშიკაშვილი და ლომაია); „ლოკომოტივმა“ (ასლანიძე, ჯანელიძე, ივარდავა); „ტორპედომ“ (ჭანტურია, სომხიშვილი, სტურუა).

● ბურთების ყველაზე ***ნაკლები*** რაოდენობა გაუშვეს მეკარეებმა: ***ნ. ტოგონიძემ*** („დინამო“, ბთ.) — ჩატარებულ 14 შეხვედრაში გაუშვა 4 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 0,28 ბურთი). ***გ. ჭანტურიამ*** („ტორპედო“) — 11 შეხვედრაში — 3 (0,27 ბურთი).

● ბურთების ყველაზე ***მეტი*** რაოდენობა გაუშვეს: ***ა. ჩიხრაძემ*** („თბილისი“) — ჩატარებულ 10 შეხვედრაში 24 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 2,4 ბურთი). ***თ. ჩლაიძემ*** („არსენალი“) — 12 შეხვედრაში 20 ბურთი (1,66 ბურთი), ***მერლანმა*** (თსუ) — 14 შეხვედრაში 18 ბურთი (1,28 ბურთი), ***მ. ქორიძემ*** („გორდა“) — 13 შეხვედრაში 17 ბურთი (1,3 ბურთი), ***რ. სოლოღაშვილმა*** („დილა“) — 10 შეხვედრაში 17 ბურთი (1,7 ბურთი).

● ყველაზე მეტჯერ „მშრალად“ შეინახეს თავიანთი კარი მეკარეებმა: ნ. ტოგონიძემ — 11-ჯერ, გ. ჭანტურიამ — 9-ჯერ; თ. ვოლკოვმა — 7-ჯერ; მ. გვასალიამ — 6-ჯერ; ო. ბობოხიძემ — 4-ჯერ;

მსაჯები

● **ჩემპიონატის** პირველ ეტაპს მოემსახურა 16 მსაჯი (აქედან 6 თბილისიდანაა, 2 ქუთაისიდან, 2 ზუგდიდიდან, თითო სურამიდან, სოხუმიდან, ქარელიდან, ლანჩხუთიდან, ონიდან და გორიდან).

● ყველაზე მეტჯერ იმსაჯეს: ა. შილაკაძემ (თბილისი) — 14-ჯერ; ა. მეშკოვმა (თბილისი) და ს. კვარაცხელიამ (ზუგდიდი) — 11-11-ჯერ; ს. კახიანმა (თბილისი) — 9-ჯერ; მ. მალაღურაძემ, ლ. ფანიაშვილმა, ა. კრიჭაშვილმა (სამივე — თბილისი) — 8-8-ჯერ; გ. ასკარ-ოღლიმ (ქარელი) — 7-ჯერ; ა. შალამბერიძემ (ქუთაისი), თ. ლაცაბიძემ (სურამი) და დ. სანაიამ (სოხუმი) — 6-6-ჯერ; ო. გუნთაძემ (ლანჩხუთი) და ა. ორდენიძემ (ონი) — 5-5-ჯერ; ზ. ანიაშვილმა (გორი) — 4-ჯერ; პ. დოგრაშვილმა (ქუთაისი) 3-ჯერ; კ. მესხმა (ზუგდიდი) — ერთხელ.

● ***სულ*** დანიშნული 27 პენალტი მსაჯებზე ასე ნაწილდება: ა. მეშკოვმა (თბილისი) დანიშნა 5, ა. კრიჭაშვილმა, ა. ორდენიძემ და გ. ასკარ-ოღლიმ — 4-4; ს. კვარაცხელიამ — 3; ო. გუნთაძემ — 2; მ. მალაღურაძემ, ზ. ანიაშვილმა, პ. დოგრაშვილმა, დ. სანაიამ და ა. შილაკაძემ — თითო.

● ყველაზე ***„მკაცრი“*** მსაჯებია: ***ა. შილაკაძე*** (თბილისი) — 4 გაძევება და 46 გაფრთხილება; ***გ. ასკარ-ოღლი*** (ქარელი) — 5 გაძევება და 25 გაფრთხილება; ს. კახიანი (თბილისი) — 4 გაძევება და 31 გაფრთხილება; ა. კრიჭაშვილი (თბილისი) — 2 გაძევება და 39 გაფრთხილება; მ. მალაღურაძე (თბილისი) — 2 გაძევება და 23 გაფრთხილება.

უდისციპლინოები

● **სულ** გაძევებულია: 29 ფეხბურთელი (2-2-ჯერ: სახვაძე — „დინამო“, თბ. და ახალაძე — „თსუ“). გაძევებით ლიდერობენ: „კოლხეთი“ — 4 ფეხბურთელი; „არსენალი“, „დინამო“, თბ. „ლოკომოტივი“ და „ვიტ-ჯორჯია“ — 3-3; „მერანი-91“, „დილა“, „თსუ“ და „თბილისი“ — 2-2; „ტორპედო“, „გორდა“, „დინამო“ ბთ, „კოლხეთი-1913“ და „სამგურალი“ — თითო. არც ერთი ფეხბურთელი არ გაუძევებიათ: სამტრედიის „იბერიიდან“ და ბოლნისის „სიონიდან“.

● **ყველაზე** „უდისციპლინო“ გუნდია ***ხობის „კოლხეთი“*** — 4 გაძევება და 30 გაფრთხილება. შემდეგ: „ვიტ-ჯორჯია“ — 3 და 21; „არსენალი“ — 3 და 20, „ლოკომოტივი“ — 3 და 18, „თსუ“ — 2 და 29, „თბილისი“ — 2 და 28.

● ***ფეხბურთელებიდან*** ყველაზე ***„უდისციპლინოებია“:*** სახვაძე („დინამო“, თბ.) — 2 გაძევება და 2 გაფრთხილება; ახალაძე („თსუ“) — 2 გაძევება; ზურაბ აიანადი („კოლხეთი“) — 1 გაძევება და 5 გაფრთხილება; შატაკიშვილი („დილა“) — 1 გაძევება და 4 გაფრთხილება; მიქაძე („ლოკომოტივი“) — 1 გაძევება და 4 გაფრთხილება; პაპიძე („დინამო“, ბთ.) — 1 გაძევება და 3 გაფრთხილება; კვიციანი (თსუ) — 7 გაფრთხილება; შაკიაშვილი („სიონი“) — 6 გაფრთხილება.

● ყველაზე ***„უხეში“*** გამოდგა XII ტური, სადაც 25 ფეხბურთელი გააფრთხილეს და 5 გააძევეს.

ყველაზე ***„უხეში“*** შეხვედრა იყო: „კოლხეთი“ — „დილა“ — 2 ფეხბურთელი გააძევეს, 8 — გააფრთხილეს.

ვეფხვია ჟალაღონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი.

უნდა ივარჯიშოს ქართველმა კაცმა საბრძოლო ხელოვნებებში, თუ არა?

ანუ „ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს“ *(ილია ჭავჭავაძე, „ერი და ისტორია“, 1888 წ.)*

თქმა არ უნდა: მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებების განვითარების ისტორიას თუ გავითვალისწინებთ, თვალში მოგვხვდება, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებისა, ბრძოლების პრაქტიკაში მისი დანერგვისა და ფართოდ გამოყენების შემდეგ, აღმოსავლური საბრძოლო ***ხელოვნებების*** გარდა, ყველა სხვა ორთაბრძოლებმა პოზიციები დათმო და შემდეგ მეტ-ნაკლებად საერთოდ გაქრა, ყოველი შემთხვევისთვის, დაკარგა საბრძოლო, როგორც ***ხელოვნების*** შინაარსი, რაც უთუოდ მიგვანიშნებს აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებების განსაკუთრებულ შინაგან სიმდიდრესა და სპეციფიკურობაზე, თუმცა, აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ საბრძოლო ხელოვნებათა ქართველი ოსტატები შედარებით ანალოგიურ, იმ საბრძოლო საიდუმლოებებს ფლობდნენ, რომელი საიდუმლოებებითაც იაპონელ, ჩინელ თუ კორეელ ოსტატებს აღფრთოვანებაში მოჰყავდათ და მოჰყავთ მთელი მსოფლიო, რის შესახებაც, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, შევეცდებით რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ: თუ ცნობილი იაპონელი დიდი ოსტატი იაპონური ფარიკაობისა, მიამოტო მუსასი, წყლის წვეთის ვარდნის მომენტში ასწრებდა მახვილის ქარქაშიდან ამოღებას, წვეთის ორ ნაწილად გაჭრას და, სანამ ეს ორი ნაწილი მიწაზე დაეცემოდა, მახვილის ისევ უკან, ქარქაშში ჩადებას, იარაღის ამ უსწრაფესი გამოყენების ფაქტს თამამად ამოუდგება გვერდით ჩვენს მიერ აწ უკვე მოხსენიებული ფარსმან II-ის ოსტატობა, ან „პატარა კახის“ — ერეკლე II-ის ხმლის მოქნევის სისწრაფე: როდესაც მან ლეკთა ბელადს — კოხტას კისერში დაუქნია ხმალი, ამ უკანასკნელის უკვე მოკვეთილი თავი ისევ მხრებზე იდო, როდესაც „მოასწრო“ სიტყვების — „დამაცილე გიაურო“-ს დაძახება და მხოლოდ ამის შემდეგ გაშორდა პატრონის — ჩრდილოეთ კავკასიის უპირველესი მხედრის ტანს.

თუ იაპონური საბრძოლო ხელოვნების, კარატე გოჯუ-კაის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, დიდ ოსტატს, გოგენ იამაგუჩის, შიშველი ხელით ვეფხვი ჰყავს მოკლული, ისტორიამ შემოგვინახა ცნობები, რომ ჩვენი დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის ჯარში იყო „მრავალი ლომის ხელით შემპყრობი“ რაინდი. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ერთია ვეფხვის მოკვლა და მეორეა ლომის „შეპყრობა“, ე.ი. ცოცხლად დაჭერა! — თან, არა ერთს, არამედ „მრავალი ლომის“! — ეს კი მხოლოდ ორთაბრძოლის ზედმიწევნით დახვეწილი, ურთულესი საბრძოლო მომზადების შედეგად თუ იყო შესაძლებელი, ე.ი. არსებობდა შესაბამისი სისტემა რაღაც ორთაბრძოლისა.

ვახტანგ გორგასალი ვახსენეთ და არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი, როგორც უშუალოდ მებრძოლის ფენომენი მსოფლიო საბრძოლო ხელოვნების ისტორიაში, თანაც, პარალელი გავავლოთ, იაპონელი სამურაების ისრის აცილების საქვეყნოდ ცნობილ ხელოვნებასა და მეფე ვახტანგის ანალოგიური ხელოვნების ფლობის ისტორიულ ფაქტს შორის:

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვახტანგ მეფემ ჩრ. კავკასიაში ლაშქრობის დროს, ბრძოლის დაწყებამდე გამართულ პაექრობებში დაამარცხა ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები, „მრავალი ლომის ხელით შემპყრობი“ — ფარსმან-ფარუხის მძლეველი გოლიათი თარხან ხაზარი, ასევე ოსი გოლიათი ბაყათარი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგ მეფის პაექრობა, მაშინდელი ჩრ. კავკასიის უპირველეს მებრძოლთან — ბაყათართან.

ბაყათარს პირველობა, თავისი გიგანტური ზომის მშვილდ-ისრის დიდოსტატურად ფლობით ჰქონდა მოპოვებული. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართველთ მეფეც ტანად გოლიათური აგებულების გახლდათ, რის გამოც მშვენიერ სამიზნეს წარმოადგენდა არა მარტო ისეთი ოსტატისთვის, როგორიც იყო ბაყათარი, არამედ რიგითი მშვილდოსნისთვისაც.

ბაყათარმა ისრის შეუჩერებელი სროლით გადმოლახა მდინარე; ვახტანგი, „თვალის სიფიცხლით, გონების სიმახვილით და ტაიჭის სიკისკისით“, ოსტატურად ირიდებდა ისრებს და მარჯვედ მიიწევდა წინ... და მებრძოლმა, რომელსაც მთელს ჩრდ. კავკასიაში, პირველობა მშვილდ-ისრის ბრწყინვალედ ფლობით ჰქონდა მოპოვებული, შეძლო მხოლოდ ის, რომ ვახტანგის ფარისათვის მოეხვედრებინა ორად-ორი ისარი; ბოლოს, თვით ხმლის მოქნევის სიშორეზეც კი ვერ მოარტყა მთავარ სამიზნეს (ვახტანგს) — მხოლოდ ცხენი დაუჭრა გორგასალს და ვიდრე დაეცემოდა დაჭრილი ბედაური, ვახტანგი „მიუხდა ზედა და უხეთქნა ხმალი მხარსა ბაყათარისასა და ჩაჰკუეთა ვიდრე გულამდე“.

საქვეყნოდ ცნობილია, ჩინური, შაოლინის მონასტერი, რომლის ბერებიც ფლობდნენ ჩინური უ-შუს იარაღით, თუ უიარაღო ორთაბრძოლის ურთულეს ილეთებს. ამ მონასტრის „კურსდამთავრებული“, შიშველი ხელებით თავისუფლად უმკლავდებოდა რამდენიმე შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს.

მარაბდის ბრძოლის (1625 წ.) დროს მეფე თეიმურაზი იბრძოდა როგორც ეკადრებოდა ქართველთა გმირ მეფესა და მთავარსარდალს: „მას დღესა ბატონმა თეიმურაზმა დაამტვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და აღარ შემორჩომოდა რა, ბეჭდებიცა დაამტვრია მუშტის ძგერებით.“

ნათელია, რომ შუაგულ ბრძოლაში, როდესაც შიშველი ხელების ანაბარა ხარ დარჩენილი კბილებამდე შეიარაღებულ მოწინააღმდეგეთა წინაშე, მხოლოდ მუშტის სიდიდე და დარტყმის სიმძლავრე, გინდ ზედ დამატებული ზეადამიანური მამაცობაც ვერას გიშველის, თუ ძალიან მაღალ დონეზე არ ფლობ შიშველი ხელით ორთაბრძოლის (იარაღიანთან, თუ უიარაღოსთან) ხელოვნებას!

აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებების ერთ-ერთი არსებითი, დამახასიათებელი, შემადგენელი ნაწილია, ე.წ. „ალმასის პერანგის“ არსებობა.

განმარტებისათვის: „ალმასის პერანგი“ წარმოადგენს სპეციალური ვარჯიშებით მიღწეულ უნარს ადამიანის ორგანიზმისას, შექმნას თავის გარშემო ე.წ. ენერგეტიკული ფარი, რომელსაც ვერც რკინა და ვერც ცეცხლი (ზოგიერთი, ჩინური და იაპონური მასალების თანახმად, ვერც

იხ. მე-4 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №93

პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" თასის გათამაშება მინიფეხბურთში

27 ნოემბერს გაიმართა მეოთხედფინალები:

„მაესტრო" — „მილანი — ავლაბარი" 1-1 (პენალტებით 1-3).

გოლები: 1-0 — ლევან ,გოგრიჭიანი (12 წთ.), 1-1 გიო მამუკელაშვილი (22 წთ.)

„ფალავანი" — „ლოკომოტივი" 2-1.

გოლები: 1-0, 2-0 ემზარ ბედინეიშვილი (2, 13 წთ), 2-1 ხვიჩა ჩხიკვაძე (25 წთ.).

„თბილისი" — „ნაძალადევი" 1-2.

გოლები: 0-1. ირაკლი გეგეშიძე (4 წთ.) 0-2, ნიკო შაქარაშვილი (10 წთ.) 1-2 გოგა ფირცხელანი (25 წთ.).

„ვაკე-1" — „სპორტული საქართველო" 4-2

გოლები: 0-1 მიშა პაზიუკი (5 წთ.), 1-1 კოკა ბიბილეიშვილი (8 წთ.), 2-1 ავთო ასათიანი (16 წთ. პენალტით), 3-1 დათო იაშვილი (25 წთ.), 3-2 ალიკა სარქისიანი (32 წთ.), 4-2 კოკა ბიბილეიშვილი (40 წთ.)

ნახევარფინალები გაიმართება 4 დეკემბერს, სპორტკომპლექს „ქარიშხალას" დარბაზში: 12.00: ვაკე 1 — ნაძალადევი. 13.00 ფალავანი — მილანი-ავლაბარი.

ეს დაუკმაყოფილებელი „მანოლო"

მექსიკამ მანუელ ლაპუენტეს თავკაცობით წლეულს პირველი გამარჯვება იზეიმა ფიფას ეგიდით ჩატარებულ ტურნირში – ქვეყნის ეროვნული ნაკრები 1999 წლის ფიფას კონფედერაციების თასის გათამაშების გამარჯვებული შეიქნა. მაგრამ ლაპუენტე ახლა უფრო მაღალ წარმატებებს უმიზნებს – სურს მექსიკა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ოთხეულშიც იხილოს.

მანუელ ლაპუენტე

როგორც ფეხბურთელი „მანოლო" (ასე ეძახიან მას ახლობლები) დიდი მიღწევებით ვერ დაიტრაბახებს. მისი კარიერა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ფეხბურთი დიდ ცვლილებებს განიცდიდა, თამაშის ახალი სტილი და სტრატეგია ყალიბდებოდა. ლაპუენტეს პირველი კლუბი ნახევრადპროფესიული „მონტერეი" იყო. „მცირე" გასამრჯელოს ვიღებდი და კიდევ მონტერეის ტექნიკური უნივერსიტეტის სტიპენდიას. მაშინ ძალიან რთულად მეჩვენებოდა სამოყვარულო დონიდან პროფესიონალებში გადასვლა. 1966 წელს შინ, მეხიკოში დავბრუნდი და პირველ პროფესიონალურ გუნდთან (Necaxa) გავაფორმე კონტრაქტი. Necaxa-ს მაშინ მიგუელ მარტინი წვრთნიდა. ის ჩვენ, ფეხბურთელებს გვარწმუნებდა თავის კომპეტენციაში და იმაშიც, რომ ჭეშმარიტად თანამედროვე მწვრთნელი იყო. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ეს ფაქტორები მწვრთნელისთვის უმნიშვნელოვანესია. მან შანსი მომცა და ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ მაქცია. პირველივე სეზონში 20 გოლი გავიტანე და ქვეყნის ჩემპიონატის ბომბარდირთა შორის მეორე ალმოვჩნდი. მალე, 1967 წელს ეროვნულ ნაკრებში მიმიწვიეს და ჰონდურასში კონკაკაფის თასიც მოვიგეთ. ერთი წლის შემდეგ პან-ამერიკულ თამაშებშიც გავიმარჯვეთ ვინიპეგში (კანადა). მაგრამ მერე გუნდის ხელმძღვანელობაში, მექსიკის საფეხბურთო ჩინოვნიკებშიც უთანხმოება მოხდა. იყო მათზე ზეწოლაც. მექსიკაში 1968 წელს ოლიმპიური თამაშები ჩატარდა, 1970 წელს მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, „მაგრამ ჩვენმა ნაკრებმა წარმატებებს ვერ მიაღწია იმის გამო, რომ ყველა მწვრთნელი, როდი ულებდა ალღოს თანამედროვე ფეხბურთს, მის სტრატეგიას და კომპაქტურ მუშაობას გუნდში" – ასე იხსენებს იმ პერიოდს მექსიკის ეროვნული ნაკრების ახლანდელი თავკაცი, რომლის საფეხბურთო კარიერაც სულ მალე დაღმა დაეშვა. „როცა პირველივე სეზონში მეორე ბომბარდირი გავხდი, ამან ჩემზე ცუდად იმოქმედა. ვინაიდან როცა ისეთივე შედეგიანობით ველარ ვთამაშობდი, ფსიქოლოგიურად ძალიან ვითრგუნებოდი – შედეგად კლუბშიც და ნაკრებშიც სათადარიგოთა სკამზე ალმოვჩნდი. ეს მძიმე პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ, სამაგიეროდ, ვისწავლე თუ რარიგ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ფეხბურთელის სწორი მოტივირება". Necaxa-ს შემდეგ „მანოლომ" ორი გუნდი („პუებლა" და „დეპორტივო ატლასი") გამოიცვალა, მაგრამ შთამბეჭდავს ვერაფერს მიაღწია და 30 წლისამ, 1974 წელს ბუცები კედელზე ჩამოკიდა.

ერთწლიანი პაუზის შემდეგ მანუელ ლაპუენტე კვლავ დაუბრუნდა ფეხბურთს – ჟურნალისტობას მიჰყო ხელი და საფეხბურთო ტელეკომენტატორი გახდა. მასმედიაში გატარებული ექვსი წლის შემდეგ კი კვლავ მწვანე მინდორს დაუბრუნდა, ოღონდ, უკვე როგორც მწვრთნელი. ის „პუებლას" თავკაცის თანაშემწედ მიიწვიეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა და „პუებლამ" მისი ხელმძღვანელობით ქვეყნის ჩემპიონობაც მოიპოვა. მაგრამ მერე წარმატებებმა კარგა ხნით დააყოვნა. ლაპუენტემ „პუებლა" 1984 წელს დატოვა, რის შემდეგ მექსიკის ოთხ სხვადასხვა კლუბს ედგა სათავეში, რომლებიც ჩემპიონატში საპრიზო ადგილებზე კი გადიოდნენ, მაგრამ ტროფეებს ვერ იხვეჭდნენ. 1989 წელს ლაპუენტემ კვლავ ჩაიბარა „პუებლა". მომდევნო წელს გუნდი გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თასის მფლობელი, სუპერთასის მფლობელი და კონკაკაფის საკლუბო ჩემპიონი. ყოველივე ამის შემდეგ ლაპუენტეს მექსიკის ეროვნული ნაკრები ჩააბარეს, სადაც მხოლოდ ერთი წელი დააცადეს მუშაობა და დაითხოვეს. ამან მწვრთნელი ძალიან გაანაწყენა. მან ერთი პირობა საერთოდ ჩაიქნია ხელი მწვრთნელობაზე, მაგრამ სამწლიანი „შესვენების" შემდეგ კვლავ მოუბრუნდა გული – ის „Necaxa"-ს ჩაუდგა სათავეში. ამ გუნდმა „მანოლოს" ხელმძღვანელობით ყველაფერს მიაღწია: ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თითოჯერ თასის, სუპერთასისა და კონკაკაფის თასის მფლობელი. ჰოდა, მექსიკის საფეხბურთო მამებმაც კვლავ უბოძეს ლაპუენტეს ეროვნული გუნდის ხელმძღვანელის პოსტი. სწორედ 1997 წლიდან დაიწყო ლაპუენტეს წარმატებული კარიერა ეროვნულ ნაკრებში. მან გუნდი საფრანგეთი-98-ზე მოახვედრა, სადაც 1/8 ფინალში უკომპრომისო ბრძოლაში დამარცხდა გერმანიასთან (1-2). იმავე წელს მექსიკამ კონკაკაფის თასი მოიპოვა, რაც წლეულსაც გაიმეორა. წლევანდელ Copa America-ს გათამაშებაში, სადაც კონკაკაფის ზონის ორ საუკეთესო გუნდს იწვევენ, მექსიკამ მესამე საპატიო ადგილი დაიკავა, ხოლო ფიფას კონფედერაციის თასის გათამაშებაში პირველი. „რა თქმა უნდა, ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემმა გუნდმა კონფედერაციის თასი მოიგო. არასდროს მიფიქრია, რომ ბრაზილიის დამარცხებას შევძლებდით და თან ოთხ გოლსაც გავუტანდით მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს (მექსიკამ 4-3 მოუგო ბრაზილიას კონფედერაციის თასის ფინალში მეხიკოში – დ.თ.), მაგრამ ეს მაინც არ მაკმაყოფილებს – შესაძლოა მაშინ გამიჩნდეს დაკმაყოფილების შეგრძნება თუ მექსიკა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო ოთხეულში მოხვდება" – განაცხადა მანუელ ლაპუენტემ.

***FIFA MAGAZINE**-დან*
მოამზადა
დათო თავართქილაძემ

გერმანული ფეხბურთის ამბები

- დორტმუნდის „ბორუსიას" ფორვარდი ერთ დროს გერმანიის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხული ჰაიკო ჰერლისი, კლუბის ხელმძღვანელობამ 10 ათასი მარკით დააჯარიმა გუნდის მთავარი მწრთვნელის, მიხაელ სკიბესადმი პრესაში გამოთქმული კრიტიკისთვის.
- მიუნხენის „ბაიერნის" 23 წლის განელი მცველი სამუელ კუფური გუნდის გამოცვლას აპირებს. მას სურს კარიერა ფლორენციის „ფიორენტინაში" გააგრძელოს, რაც „ფიორენტინას" ახლანდელ და „ბაიერნის" ყოფილ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონსაც ძალიან სწადია.
- გერმანიის საფეხბურთო კავშირი ქვეყნის ეროვნული ნაკრების თითოეულ მოთამაშეს ჯილდოდ 150 000 მარკას დაჰპირდა, თუ ისინი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატს მოიგებენ ბელგია-ჰოლანდიაში.

სურათზე: ბასლერის დარად კუფურიც „ბაიერნს" მალე დატოვებს.

უნდა ივარჯიშოს ქართველმა კაცმა საბრძოლო ხელოვნებებში, თუ არა?

ანუ „ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ასულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ასურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს"

(ილია ჭავჭავაძე, „ერი და ისტორია", 1888 წ.)

(მესამე გვერდიდან)

ტყვია) ვერ არღვევს.

შედარებისათვის!

როგორ ებრძვის მტერს ქართველთა მეფე მირვანი: „წარუძღვა წინა ქვეითთა, ზურგით შემოადინნა მხედარნნი და მოვიდა კართა მათ შინა, ვითარცა ჯიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხვი სიმხნითა, ვითარცა ლომი ზახილითა. იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი, ხოლო მირვანს ვერ ჰკვეთდა მახვილი დურძუკთა, ვითარცა კლდესა სიპსა და დგა უძრავად ვითარცა კოშკი მტკიცე".

წინადადება: „ხოლო მირვანს ვერ ჰკვეთდა მახვილი დურძუკთა, ვითარცა კლდესა სიპსა", ერთი შეხედვით თითქოს არ არის თვალში საცემი იმ უბრალო მიზეზით, რომ აქ პირველ რიგში აბჯრით შეჭურვილი მეფე მირვანი წარმოგვიდგება გონებაში. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ მემატიანენი, რომელნიც ბრძოლათა აღწერებს გვთავაზობენ, გარკვევით უსვამენ ხაზს საჭურვლის (აბჯრის) როლს მეომრის უსაფრთხოების საქმეში: ადრეკი, რომლის საქართველოში მეფობისას ბეთლემს იშვა ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე, ასე ებრძოდა მეტოქეს ტახტისათვის: „ალიზახნეს ორთავე ხმითა სასტიკითა და მიეტევნეს ურთიერთას და იწყეს ორთავე გვრემად ოროლისა და ვერა ჰკვეთდეს საჭურველსა ერთმანეთისასა და ბრძოლისა სიგრძესა შინა განუტყდა ოროლები. შეღამდა დღე იგი და განისვენეს ორთავე და დაღეული კვალად გამოვიდეს, აიღეს მშვილდები და იწყეს რბევად და სვრად ერთმანეთისა, ჰკრა ადრეკიმ მკერდსა არშაკისასა და ვეღარა უფარა სიმაგრემან საჭურველისამან, განვარდა ზურგით და ჩამოვარდა ცხენისგან".

მეფე მირვანის შემთხვევაში გარკვევით არის გამოთქმული: „ხოლო მირვანს ვერ ჰკვეთდა მახვილი დურძუკთა", ხოლო მეორე შემთხვევისას ასევე გარკვევით არის გამოთქმული „ვერა ჰკვეთეს საჭურველსა ერთმანეთისასა". ე.ი. პირველ შემთხვევაში მტრის მახვილის გაუკვეთაობის მიზეზი რადაც შინაგანი ძალა ყოფილა, რომელსაც მირვან მეფე ფლობდა, ხოლო მეორე შემთხვევაში მებრძოლთა უვნებლობის ფაქტორს ბრძოლის პირველ დღეს რომ მათი აბჯარ-საჭურველი თამაშობს, ეს მემატიანეს ხაზგასმით აქვს გადმოცემული.

აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებების ქვაკუთხედია სულის აუღელვებლობა (იაპ. მუ-სინ), თვითკონტროლი, საკუთარი თავის ფლობა, ემოციებისაგან გათავისუფლება, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბრძოლო ხელოვნების უმაღლესი საფეხურების საიდუმლოებების წვდომა. ბატონი ქ. ჩოლოყაშვილი, თავის ნაშრომში – „აბჯარი XIX ს." (1956 წ.), გადმოგვცემს თქმულებას, რომლის თანახმადაც გასათხოვარი ლამაზი ქალი, ისეთ საქმროს ეძებდა, რომელიც ხმლის ერთი შემოკვრით გაჰკვეთდა მის ჯაჭვს (აბჯარს). ეს ჯაჭვი ისეთი თვისებების ყოფილა, რომ ხმალს არ იკარებდა. ხმლის ფლობის ოსტატმა, შეყვარებულმა ვაჟმა, შემოჰკრა ხმალი ჯაჭვში ჩამჯდარ ქალიშვილს და მისი, ხმლის უკარება აბჯარი ისე გაკვეთა, რომ სატრფო მხოლოდ მსუბუქად დააზიანა.

აღსანიშნავია, რომ ერთია, თუნდაც ხმლის უკარება აბჯრის გაკვეთა, მაგრამ მეორეა ის, რომ აბჯარი შეყვარებულს, მომავალ საცოლეს აცვია და იმის აღქმა, რომ მცირე უზუსტობის შემთხვევაში, შესაძლებელია სატრფო მოკლა, უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ აყენებს პიროვნებას. ჭაბუკის ზუსტი მოქმედება კი წარმოგვიდგენს არა იარაღის ფლობის მხოლოდ ტექნიკურად დიდოსტატურ ფლობას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სულიერად და ფსიქოლოგიურად უმაღლეს დონეზე გაწონასწორებულ (იაპ. მუ-სინ) მებრძოლს, რომლის არსებობაც ნებისმიერი თანამედროვე ქვეყნის ჯარში (არმიაში) სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს! როგორც ცნობილია, ვიეტნამის ომის შემდგომ, ამერიკელი ექიმები აღნიშნავდნენ იქ ნაბრძოლი ამერიკელი ჯარისკაცების სერიოზულ ფსიქოლოგიურ დარღვევებს. იყო გალოთების, ნარკოტიკების მიღების, თვითმკვლელობის შემთხვევები. ზოგიერთი ვეტერანი, მკვლელობას, ძარცვა-ყაჩაღობას, ძალადობას სჩადიოდა და ყოველივე ამას აკვიატებით, რადაც „სიამოვნების" მიღების მიზნით აკეთებდა. ასეთ გამოვლინებებს მაშინდელი ამერიკული პრესა „ვიეტნამურ სინდრომად" იხსენიებდა. ავღანეთის ომის შემდგომ, ასეთი შემთხვევების შესახებ, საბჭოთა პრესაც წერდა. აფხაზეთის ომის შემდეგ, ჩვენს თვალწინ შექმნილი მდგომარეობაც ყველას კარგად გვახსოვს.

რა არის ასეთი გამოვლინებების მიზეზი და რით შეიძლება ავიცილოთ იგი? – ჩვენ ვთვლით, რომ ერთ-ერთი ფსიქოლოგიური მახასიათებელი პროფესიონალი მებრძოლისა, არის ემოციური წონასწორობა.

როგორც სამხედრო ანალიტიკოსები გადმოგვცემენ, ემოციურ, გაუწონასწორებელ ახალგაზრდას, ბრძოლის ველზე თანამებრძოლების დაღუპვის მომსწრეს, უდიდესი სურვილი უჩნდება შურისძიებისა. მოწინააღმდეგის მოკვლა მისთვის მხოლოდ სულიერი მიზნის დაკმაყოფილების საშუალება ხდება და რაც უფრო ბევრს ჰკლავს, მით უფრო მატულობს სისხლის აღების წყურვილი. მკვლელობა მისთვის ნარკოტიკად იქცევა.

ყოველივე ზემოთქმულის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება ემოციებისაგან განტვირთვაა. საუკეთესო საშუალება ამისათვის კი კონტაქტურ ორთაბრძოლებში გამოწრთობაა.

რეგულარულად ბეჯითად ვარჯიში ხელჩართული ბრძოლის ხელოვნებაში, არამარტო ხელს უწყობს მებრძოლის იმ სულიერ-ფიზიკური დირებულებების განვითარებას, რომელთა გარეშეც ჯარისკაცი ომში უძლურია, არამედ საბრძოლო ხელოვნებათა სიბრძნე ხდება მის თანმდევ წარმატებათა გარანტია მთელი ცხოვრების განმავლობაში და რომელიც განმსაზღვრელია სახელმწიფოს კეთილდღეობისა მთლიანობაში. – მაგალითისათვის მოვიყვანოთ საბრძოლო ხელოვნების ტრადიციებით ისეთი მდიდარი ქვეყნების გამოცდილებები, რომლებიც მთელს მსოფლიოს აოცებენ თავიანთი ბოლოდროინდელი ეკონომიკურ-პოლიტიკური წარმატებებით! ძველი ჩინური საბრძოლო ხელოვნების შეგონებანი ახალი მისიით გამოვლინდნენ მეოცე საუკუნეში. ისინი ახლა აზიის მეორე სუნთქვას წარმოადგენენ. 80-იან წლებში გამოსულმა მენეჯმენტის წიგნმა ახალი სიცოცხლე მისცა „სუნ-ცზის" – კლასიკურ სახელმძღვანელოს საბრძოლო ხელოვნების შესახებ და დაამკვიდრა წარსულის ლეგენდარულ გმირთა სიბრძნე თანამედროვე ბიზნესისა და მარკეტინგის საქმეში. ეს მეთოდები საუკეთესო გახდა არა მარტო კომუნისტურ ჩინეთში, არამედ კაპიტალისტურ ჰონკონგშიც.

იაპონური კომპანიები პერიოდულად ქმნიან მკვლევარ ჯგუფებს, რომელნიც საბრძოლო ხელოვნების შემეცნების სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, აყალიბებენ ახალ კონცეფციებს კორპორაციული სტრატეგიის განსავითარებლად. კორეელები ირჩევენ რა საერთაშორისო ბიზნესში ბრძოლის სტრატეგიას, საკუთარი ვალუტის გამყარების, თუ ბაზრის რეგულირების ორგანიზაციისათვის, ხელმძღვანელობენ საბრძოლო ხელოვნების შემეცნების უძველესი წიგნებით.

ჭეშმარიტი საბრძოლო ხელოვნების საბოლოო მიზანი არის არა მოწინააღმდეგის დამარცხება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დამარცხება საკუთარი სისუსტეებისა, შიშისა საკუთარ თავში, ბრძოლა საკუთარ უარყოფით ზნე-ჩვეულებებთან და ვინაიდან საბრძოლო ხელოვნების განვითარების დონეს, მათი შემქმნელი და მიმდევარი ოსტატები, მებრძოლები განსაზღვრავენ, უპრიანი იქნება, დასასრულ, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ 1110 წელს, ერწუხთან, დავით აღმაშენებლის მთავრსარდლობით, ქართველთა მცირე, 1500-კაციანი რაზმით 66-ჯერ მრავალრიცხოვან თურქთა ლაშქრის განადგურების აღმწერი მემატიანის სიტყვები: გარბოდნენ თურქნი „ესოდენ ზარგანხდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედეს ყოვლად, არამედ მისწრაფებასა პატივ სცეს ფერხთა მათთა უფროს საქონლისა და ესრეთ განიბნიეს თვისთა ქვეყანათა".

კახაბერ მარქოზაშვილი,
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალის დირექტორი, საბრძოლო ხელოვნების ოსტატი, საბრძოლო ხელოვნების შემეცნების კლუბის „ბონსაი" საბჭოს თავმჯდომარე.

კანუ – აფრიკის ორგზის საუკეთესო

ოთხშაბათს აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ კონტინენტის წლის საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს გახლავთ ნიგერიელი ნვანკვო კანუ. მას გამოკითხვაში ორი ქულით ჩამორჩა განის ნაკრების და მიუნხენის „ბაიერნის" მცველი სამუელ ოსეი კუფური, ხოლო მესამე მარსელის „ოლიმპიკის" კოტ დივუალელი თავდამსხმელი იბრაჰიმ ბაკაიოკო იყო. შარშანდელი წლის საუკეთესო აფრიკელი, მაროკოელი მუსტაფა ჰაჯი კი მხოლოდ მეცხრე ადგილზე გავიდა.

ნვანკვო კანუმ ერთხელ, 1996 წელსაც მოიპოვა ამგვარი აღიარება. ლონდონის „არსენალის" ფორვარდმა ერთი ხანობა, გულის უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რათა კვლავ ბრწყინვალედ გაეგრძელებინა თამაში. ასევე გთავაზობთ გასული წლების აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის რჩეულებს:

ნვანკვო კანუ

1994 – ემანუელ ამუნიკე (სპორტინგი, პორტუგალია, ნიგერია)
1995 – ჟორჟ ვეა (მილანი, ლიბერია)
1996 – ნვანკვო კანუ (ინტერი, ნიგერია)
1997 – ვიქტორ იკპება (მონაკო, ნიგერია)
1998 – მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, მაროკო)
1999 – ნკვანკვო კანუ (არსენალი, ნიგერია)

„მანჩესტერ იუნაიტედის" გამარჯვების შემდეგ

ბრიტანული პრესა აღტაცებით შეხვდა 1 დეკემბერს ტოკიოს ოლიმპიურ სტადიონზე „მანჩესტერ იუნაიტედის" გამარჯვებას ბრაზილიურ „პალმეირასთან" საკონტინენტთაშორისო თასზე ანგარიშით 1-0 (ეს ერთადერთი გოლი გუნდის კაპიტანმა როი კინმა გაიტანა 35-ე წუთზე).

საინტერესოა, რომ ეს არის ინგლისელთა საერთოდ პირველი გამარჯვება საკონტინენტთაშორისო თასზე. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს რაიან გიგზი.

რაიან გიგზი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ან ბექჰემი ან რივალდო

ჩვენ გამოვაქვეყნეთ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზის „ოქროს ბურთის" პრეტენდენტების სრული სია. როგორც ამ კონკურსის ორგკომიტეტი იუწყება, გამარჯვებულის სახელი 20 დეკემბერს გახდება ცნობილი.

50 პრეტენდენტს შორის მთავარ ფავორიტად ითვლება ორი: ინგლისელი დევიდ ბექჰემი „მანჩესტერ იუნაიტედიდან" და ბრაზილიელი რივალდო ესპანური „ბარსელონიდან".

შესაძლოა, ბლოხინი

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვალერი პუსტოვოიტენკომ დაადასტურა ადრე გამოთქმული აზრი, რომ იოჟეფ საბო აუცილებლად განთავისუფლდება უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან.

მას შემდეგ, რაც უკრაინის ნაკრები ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დამარცხდა სლოვენიელებთან, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას მოლაპარაკება ჰქონდა მთელ რიგ სპეციალისტებთან.

როგორც უკრაინელი მიმომხილველები თვლიან, ეტყობა საბოს წარსულში განთქმული ფეხბურთელი ოლეგ ბლოხინი შეცვლის. ბლოხინს სამწვრთნელო მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, სათავეში ედგა ჯერ კვიპროსის, შემდეგ კი საბერძნეთის მთელ რიგ კლუბებს, საკმაო წარმატებაც ჰქონდა, თუმცა თავის სამშობლოში არასოდეს უმუშავია.

ბლოხინი არც ისე დიდი ხნის წინათ დაბრუნდა საბერძნეთიდან. მას არაერთხელ გამოუთქვამს სურვილი უკრაინაში მუშაობის შესახებ.

ტოლსტიხი – რუსეთის პროფესიული ლიგის პრეზიდენტი

მოსკოვის „დინამოს" გენერალური დირექტორი ნიკოლაი ტოლსტიხი კვლავ აირჩიეს რუსეთის პროფესიული ლიგის პრეზიდენტად. პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობასა და რუსეთის ფეხბურთის ფედერაციას შორის კარგა ხანია მიმდინარეობს დავა უფლებათა განაწილების შესახებ, თუმცა ყველაფერი დღემდე გარკვეული არ არის.

დისკვალიფიკაცია 11 მატჩით

ესპანური „მალიორკას" არგენტინელი მეკარე ჰერმან ბურგოსი 11 მატჩით არის დისკვალიფიცირებული. ამის მიზეზი გახდა ბარსელონას „ესპანიოლის" თავდამსხმელ მანუელ სერანოს წაქცევა. სანქციის სიმძიმე იმან გამოიწვია, რომ იმ მომენტში, როცა ბურგოსი დაესხა თავს, თავდამსხმელი უბურთოდ იყო და სწორედ ასეთ ვითარებაში მიიღო სერიოზული ტრავმა – ტვინის შერყევა. ბურგოსი თავის საქციელს იმით ამართლებს, რომ სერანო მას უცენზურო სიტყვებით ლანძღავდა.

ომარ შარაძე ველარ დაეხმარება, რადგან სამსახურიდან გაანთავისუფლეს

ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივის" საპატიო პრეზიდენტი ომარ შარაძე ველარ დაეხმარება კლუბს, რადგან იგი გაანთავისუფლეს გორკის რკინიგზის უფროსის თანამდებობიდან.

ახლა მთავარი მწვრთნელი ვალერი ოვჩინიკოვი გამალებით ეძებს სპონსორებს, თუმცა ჯერჯერობით შედეგი არა ჩანს.

მსაჯს ტყუილუბრალოდ ნუ გამოლანძღავ!

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით „ასტონ ვილას" მწვრთნელი ჯონ გრეგორი დაჯარიმებულია 5000 სტერლინგით. გარდა ამისა, მომდევნო 4 კვირის მანძილზე მას ნება არა აქვს მწვრთნელის სკამზე დაჯდეს და თამაშს უფრო მოშორებით, ტრიბუნიდან უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა.

გრეგორი იმიტომ დაისაჯა, რომ ასოციაციის ხელმძღვანელთა აზრით, ალმაშფოთებლად იქცეოდა „ლესტერთან" მატჩში, გაუთავებლად ლანძღავდა მსაჯ ენდი დ'ურსოს. დისკვალიფიკაცია ძალაში 13 დეკემბრიდან შედის. საინტერესოა, რომ ადრე „ასტონ ვილა" – „ნიუკასლ იუნაიტედის" მატჩის დროს გრეგორი ასევე აშკარად ესხმოდა თავს მსაჯს, რისთვისაც 2000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს.

უკან დარჩა შეჯიბრების მესამედი

იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა

ახლა, როცა უკან დარჩა იტალიის ჩემპიონატის მესამედი, მიმომხილველები ბევრს წერენ წამყვანი კლუბების შესაძლებლობების შესახებ. უკვე „შემოხაზულია" ჩემპიონობის პრეტენდენტთა შესაძლებელი წრე. ამასთან, ამ სფეროში რაიმე პრინციპულად არაფერია ახალი ნათქვამი, ფავორიტები იგივენი დარჩნენ, როგორც ეს პირველობის დაწყებამდე იყო მიჩნეული.

მორიგი, XII ტურის წინ, რომელიც კვირას, 5 დეკემბერს უნდა გაიმართოს, შეჯიბრებას 22-22 ქულით ლიდერობს ერთბაშად 3 გუნდი: „რომა", „ლაციო" და „იუვენტუსი". სულ ცოტა ხნის წინათ „ლაციო" ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ მდგომარეობა შეცვალა მისმა სასტიკმა დამარცხებამ – 1-4 „რომასთან". საინტერესოა, რომ ადრეც „რომა" თანაქალაქელთათვის უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა, თუმცა, ახლა, „ლაციოს" თითქოს უფრო ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. ამ ახალი მოგების შემდეგ „რომას" უკვე 49 გამარჯვება აქვს, „ლაციოს" – 41, ხოლო 53 მატჩი ფრედ დასრულდა. ბურთების სხვაობაც „რომას" სასარგებლოდაა – 168-137. ამ დამარცხების შემდეგ „ლაციოს" შვედმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა საერთოდ უარი განაცხადა ყოველგვარ კომენტარზე, ფაბიო კაპელო კი სიამოვნებით ესაუბრა ჟურნალისტებს: „თუკი ჩვენ კვლავაც ასეთ სწრაფ და მწყობრ ფეხბურთს ვითამაშებთ, როგორც ეს ამ დერბიში ვაჩვენეთ, ჩვენთან მოგება ყველას გაუჭირდება. ჩვენ შეგვიძლია ჩემპიონობის მოპოვება. ახლა ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ჩვენ საამისოდ ყველაფერი გვაქვს: გვყავს მოთამაშეები, გვაქვს საბრძოლო განწყობილებაც".

ამ წაგების შემდეგ „ლაციოს" ფეხბურთელებმა თავიანთი გულშემატკივრებისაგან არაერთი საყვედური მოისმინეს. განსაკუთრებით სასტიკად დაესხნენ თავს პანკაროს, რომლის „პორშე" დაამსხვრიეს. „გაგვაკრიტიკეთ, მაგრამ ზომაც იცოდეთ" – განაცხადა „ლაციოს" პრეზიდენტმა კრანიოტიმ. ამ წაგების შემდეგ „ლაციომ" გასვლით მატჩში ჩემპიონთა ლიგაში სძლია – 2-0 მარსელის „ოლიმპიკს", კვირას კი საკუთარ მინდორზე ფრედ 0-0 ითამაშა „იუვენტუსთან". ახლა მიმომხილველები წერენ, რომ ფაბიო კაპელო, როგორც სტრატეგი, „მთელი თავით" აღემატება იმავე სვენ-გორან ერიქსონს, თუმცა იმას, რამდენად სწორია ეს აზრი, ალბათ მოვლენების შემდგომი მსვლელობა გვიჩვენებს.

რაც შეეხება კარლოს ანჩელოტის „იუვენტუსს", აქ ყურადღებას იპყრობს თავდამსხმელთა უმნიშვნელო შედეგიანობა (13 გოლი, 11 თამაში), თუმცა წინა ხაზზე თამაშობენ „ოქროს ბურთის" პრეტენდენტები ფ. ინძაგი და დელ პიერო, რომელთაც ხშირად ცვლის ადრე ესპანეთის ლიგაში გამორჩეული სნაიპერი კოვაჩევიჩი, ამასთან, მწყობრშია ზიდანიც. ახლა მწვრთნელის მთავარი ამოცანაა წინა ხაზის მეტი ეფექტიანობის მიღწევა, თორემ...

ამჟამად 20-20 ქულა აქვთ „ინტერსა" და „მილანს". ბოლო ტურებში საგრძნობლად გამოასწორა მდგომარეობა მარჩელო ლიპის „ინტერმა", რომელმაც ჯერ შინ სძლია, „ლეჩეს" – 6-0 (იტალიის ჩემპიონატისათვის სრულიად უჩვეულო ანგარიშია!), შემდეგ კი სტუმრად მეტად შეუპოვარ „რეჯინას" – 1-0. მართალია, მეორე მატჩში არ იყო ტრავმირებული რონალდო, უკვე კარგა ხანია აღარ თამაშობს ასევე დაშავებული ვიერი, არა ჩანს რ. ბაჯო. მართალია, ჩილელ სამორანოს კარგად ამოუდგა მხარში ურუგვაელი რეკობა, რომელიც შარშან კლუბმა „ვენეციას" ათხოვა, ახლა კი შედეგიანად თამაშობს და დიდ იმედებსაც იძლევა. რაც შეეხება „მილანს", იგი მეათე ტურამდე დაუმარცხებლად იბრძოდა, მაგრამ შემდეგ მეტად მტკივნეული მარცხი იგემა ტურინში „იუვენტუსთან" – 1-3. შესაძლოა, მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი შეცდა, როცა ამ მატჩში დაასვენა შევჩენკო, რომელიც მოკლე დროში მშვენივრად შეეწყო იტალიის ჩემპიონს. ამ მარცხს „მილანმა" უკანასკნელ ტურში „პარმასთან" პრინციპული მატჩის მოგებით უპასუხა – 2-1. ჩემპიონს ამ შეხვედრაში, იტალიელი კომენტატორების აზრით, არც ისე ბრწყინვალე თამაში უჩვენებია, მაგრამ მწვრთნელის ერთი გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ ახალგაზრდა მეკარე აბიატი, რომელიც სეზონის დასაწყისიდან უცვლელად (და ძირითადად კარგად!) თამაშობდა, ძაკერონიმ ამ მატჩში ისევ ვეტერან სებასტიანო როსით შეცვალა, რომელმაც შეძლო კრესპოს მიერ დარტყმული პენალტის აღება, „მილანს" კი გამარჯვება კაპიტანმა პაოლო მალდინიმ მოუტანა, რომელმაც, ხანდახან, როგორც მოგეხსენებათ, წარმატებით იცის ხოლმე შეტევაში ჩართვა. „პარმა" ამ დამარცხების შემდეგ მეექვსე ადგილზე კი გადავიდა (18 ქულით), მაგრამ არავინ უარყოფს, რომ მარცხიანი სტარტის შემდეგ, როცა ალბერტო მალესანის გადადგომასაც კი მოითხოვდნენ, გუნდმა გამოასწორა თამაში და ახლა მწვრთნელის შეცვლაზე, ანდა, მის კვალიფიკაციაზე (?!) ლაპარაკიც აღარაა. „პარმას" მეტად ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, „სკამიც" საკმაოდ გრძელია, ისე რომ, ყველაფერი წინ არის. თავდასხმაში კრესპოსთან ერთად ჩინებულად თამაშობს გუნდში ახლად გადმოსული დი ვაიო, რომელსაც ყურადღება იტალიის ნაკრების ხელმძღვანელებმაც მიაქციეს.

ერნარ კრესპო

ჩემპიონატის დაწყების წინ საპრიზო ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტად „ფიორენტინაც" ითვლებოდა, რომელმაც შარშანდელ ჩემპიონატში ხელიდან გაუშვა „სკუდეტოს" მოპოვების კარგი შესაძლებლობა. ახლა გუნდს 14 ქულით (3 მოგება, 5 ფრე, 3 წაგება) მხოლოდ მეთერთმეტე, მისთვის ყოვლად შეუფერებელი ადგილი უკავია. ლაპარაკიც კი იყო განთქმულ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის შეცვლაზე, თუმცა ამის რეალურად განხორციელებას არავინ ცდილა. საქმე ის არის, რომ „ფიორენტინამ" ბრწყინვალე სტილით მოუგო (2-0) ჩემპიონთა თასის მფლობელ „მანჩესტერ იუნაიტედს", აჩვენა არა მარტო ტექნიკური უპირატესობა, არამედ მოქნილი ტაქტიკაც. ერთი სიტყვით, ამ პოპულარული კლუბის ქომაგები იმედოვნებენ, რომ „ფიორე" მალე გამოასწორებს მდგომარეობას. მალე მწყობრში უნდა ჩადგნენ კიეზა და მიატოვიჩი. რაც შეეხება შესანიშნავად მოთამაშე ბატისტუტას, იგი, ბევრი მიმომხილველის აზრით, ახლა საუკეთესო თავდამსხმელია არა მარტო იტალიაში, არამედ საერთოდ მსოფლიოშიც. „ფიორენტინა" უნდა ჩაერთოს ლიდერთა ჯგუფში. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მის მომავალ მატჩს კვირას „მილანთან". ეს მატჩი ფლორენციაში მომდევნო ტურში ცენტრალურია. „რომა" ამ დღეს მიიღებს „ლეჩეს", რომელიც ძლიერად თამაშობს საკუთარ მინდორზე, სტუმრად კი ხშირად უსუსურიც კი არის. „ლაციო" სტუმრად უნდა შეხვდეს მეშვიდე ადგილზე მყოფ „პერუჯას", „იუვენტუსი" კი იღებს „ბოლონიას". „პარმას" შესაძლებლობა აქვს ახალი ზეაღსვლა დაიწყოს, თუკი შინ „ტორინოს" მოუგებს.

ჯერჯერობით ბოლო სამეულში არიან „კალიარი" (5 ქულა), „ვენეცია" (6) და „ვერონა" (8).

ახლა ზოგი რამ სნაიპერების ჯგუფის შესახებ: შევჩენკოს, რომელიც 7 გოლით ერთპიროვნული ლიდერი იყო, დაეწია კრესპო. მუცის („უდინეზე") 6 გოლი აქვს. ბატისტუტას – 5, ლუკარელის („ლეჩე") – ასევე ხუთი, ამდენივე, სალასს („პარმა"), ვერონს („ლაციო") და მონტელას („რომა"). საინტერესოა, რომ ვიერი ამდენი ხანია არ თამაშობს, მაგრამ 5 გოლით მაინც სნაიპერთა ჯგუფში შედის.

ანდრეი შევჩენკო

ბივი გამრეკელი

ეს მხოლოდ დასაწყისია

ბათუმი (ჩვენი სპეც.კორ.). ევროპის ბოლო პირველობაზე, რომელიც სპლიტში (ხორვატია) ჩატარდა, საქართველოს ქალთა ნაკრები უდავო ფავორიტად ითვლებოდა და საბოლოო ანგარიშით გაამართლა კიდეც იმედები — ჩემპიონი გახდა. ამჯერად სიტუაცია, ცოტა არ იყოს, შეცვლილია — არ თამაშობს მაია ჩიბურდანიძე, მეორე ნაკრებში გადავიდა ნანა იოსელიანი. ამჟამად აშკარა ფავორიტზე ლაპარაკი ძნელია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ისიც ვთქვათ, რომ ქალთა ნაკრებებში სულ ორი დაფაა, ეს კი შემთხვევითობის მომენტს ზრდის.

საქართველოს ქალთა პირველ ნაკრებში ახლა პირველ დაფაზე ნინო ხურციძე თამაშობს. პირველ დღეს მოგების შემდეგ ჩვენები მეორე ტურში დამარცხდნენ პოლონელებთან: 0,5:1,5 (წააგო ქეთევან არახამიამ). მესამე ტურში მოხდა ისე, რომ წილისყრამ ჩვენი პირველი ნაკრები საქართველოს მესამე გუნდს შეახვედრა, რომელიც ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. პირველმა ნაკრებმა მოიგო ეს მატჩი: ხურციძემ დაამარცხა მაია ლომინეიშვილი, ხოლო არახამიამ — სოფიკო ტყეშელაშვილი. ამრიგად, პირველი ნაკრები ლიდერთა ჯგუფს მიუახლოვდა.

სხვანაირად წარიმართა საქართველოს მეორე ნაკრების საქმე უნგრელებთან. პირველ დღეს ორივე შეხვედრა მოიგეს ნანა იოსელიანმა და ნინო გურიელმა, მეორე ტურში იოსელიანმა ყაიმით დაასრულა თავისი პარტია, გურიელმა კი კვლავ გაიმარჯვა. ამრიგად, ჩვენებმა ორი ტურის შემდეგ 3,5 ქულა მოაგროვეს, პოლონელებთან ერთად ლიდერობდნენ შეჯიბრებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მესამე ტურში დებულების თანახმად სწორედ ეს ორი გუნდი უნდა შეხვედროდა ერთმანეთს.

ეს მატჩი ფრიად მძაფრად მიმდინარეობდა. იოსელიანმა მოიგო, გურიელი კი დამარცხდა. ამის შემდეგ პოლონელებმა 4,5 ქულით ლიდერობა შეინარჩუნეს, საქართველოს მეორე ნაკრებმა კი ასევე 4,5 ქულა მოაგროვა.

რაც შეეხება საქართველოს ახალგაზრდულ (მესამე) ნაკრებს, იგი, რა თქმა უნდა, ამ შეჯიბრებაში სათანადო გამოცდილებას მიიღებს. ისე კი, მეორე ტურში ჩვენმა მოჭადრაკეებმა ანგარიშით 1,5:0,5 დაამარცხეს რუსეთის ძლიერი გუნდი (გაიმარჯვა ინგა ჭარხალაშვილმა).

ვაჟთა შეჯიბრებაში ამჯერად ჩვენს პირველ ნაკრებში არც ზურაბ აზმაიფარაშვილი გამოდის და არც ზურაბ სტურუა. პირველ დღეს გამარჯვების შემდეგ ჩვენს გუნდს მეორე ტურში ძნელი მატჩი ჰქონდა უნგრეთის ნაკრებთან, რომელიც ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად ითვლება. პირველ დაფაზე გია გიორგაძე შავებით ეთამაშებოდა ამჟამად „სუპერ დიდოსტატად" მიჩნეულ 19 წლის პეტერ ლეკოს. გიორგაძემ შევიწროებული პოზიცია მიიღო, ლეკომ თამაშიდან გამორთო მეტოქის კუ და საბოლოოდ მოიგო კიდეც. მეორე დაფაზე გიორგი ყაჭეიშვილს მრისხანე მეტოქე ჰყავდა — „ქალთა ფიშერად" წოდებული [illegible] პოლგარი, რომელიც ხშირად უნგრეთის ვაჟთა ნაკრებს ხელმძღვანელობს ხოლმე. ეს პარტია „ფიშერმა" მოიგო, გია ბაღათუროვმა და თამაზ გელაშვილმა კი შეხვედრები ყაიმით დაასრულეს. ამრიგად, უნგრეთის ნაკრებმა ეს მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა ანგარიშით 3-1.

მესამე ტურში საქართველოს ვაჟთა პირველმა ნაკრებმა ყაიმით — 2-2 დაამთავრა მატჩი აზერბაიჯანის გუნდთან. საქართველოს მეორე ნაკრებმა, სადაც ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატები გამოდიან, ანგარიშით 3:1 დაამარცხა ავსტრიის ნაკრები.

სამი ტური მხოლოდ ჩემპიონატის მესამედია. ბრძოლა ყოველ მომდევნო ტურში სულ უფრო მწვავე გახდება.

აშშ-ს ჩემპიონატები ჭადრაკში

სოლტ-ლეიკ-სიტიში ჩატარდა აშშ-ს ჩემპიონატი როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის.

ვაჟთა ჩემპიონატი უკვე რამდენიმე წელია თავისებური სისტემით ტარდება. 16 მონაწილეს ორ ჯგუფად ყოფენ, სადაც ბრძოლა წრიული სისტემით მიმდინარეობს. ორ-ორი გამარჯვებული თითოეული ჯგუფიდან უკვე ოლიმპიური სისტემით აგრძელებს თამაშს.

ამჯერად შეხვედრები „A" ჯგუფში ასეთი შედეგით დასრულდა: 1. ბ. გულკო — 5,5 ქულა შვიდიდან. 2. ა. ერმოლინსკი — 4. 3-4. ლ. კრისტიანსენი და დ. გურევიჩი — 3,5-3,5. 5-7. ჯ. ფედოროვიჩი, ი. შლიპერმანი და ს. კუდრინი — 3-3 ქულა. 8. ა. შაბალოვი — 2,5.

ჯგუფი „B". 1. გ. სერპერი — 4,5. 2-4. ი. სეირავანი, ჯ. ბენჯამინი და ა. ივანოვი — 4-4. 5. ნ. დე ფირმიანი — 3,5. 6-7. გ. კაიდანოვი და რ. ჯინჯიხაშვილი — 3-3. 8. ბ. ფაინგოლდი — 2.

როგორც ვხედავთ, მონაწილეთა უმრავლესობას ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული დიდოსტატები შეადგენდნენ.

შემდეგ გაიმართა ნახევარფინალური მატჩები. გულკოსა და სეირავანის მატჩში ოთხმა ძირითადმა პარტიამ უპირატესობა ვერც ერთს მოუტანა — 2-2. დაინიშნა ახალი შეხვედრა, სადაც უკვე გულკომ გაიმარჯვა — 2,5:1,5. მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში სერპერსა და ერმოლინსკის შორის ჯერ პირველის მსგავსად თანაბარი ანგარიში — 2:2 აღინიშნა, შემდეგ კი სერპერმა გაიმარჯვა — 2:0.

ფინალურ ორთაბრძოლაში გულკომ დაამარცხა სერპერი — 2,5:0,5 და მეორედ (პირველად — 1994 წელს) გახდა აშშ-ს ჩემპიონი. საინტერესოა, რომ ადრე ბორის გულკო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო. ამავე დროს იგი ერთადერთი დიდოსტატია მსოფლიოში, რომელსაც დადებითი ანგარიში აქვს გარი კასპაროვთან.

აშშ-ს ქალთა ჩემპიონატში არ მონაწილეობდნენ ირინა ლევიტინა, ელენა ახმილოვსკაია და ანა ახშარუმოვა. ამჯერად არც აშშ-ს შარშანდელმა ჩემპიონმა, 16 წლის ირინა კრაშმა ითამაშა. ჩემპიონის წოდება მესამედ მოიპოვა ახალგაზრდა დიდოსტატმა ანჯელინა ბელაკოვსკაიამ.

ჯო ლუისის შესახებ ფილმის დაბოლოება არ შეუცვლიათ

პროფესიული კრივის სამყაროში

რა გინდ მოკაშკაშე ვარსკვლავები არ უნდა გამოჩნდეს პროფესიულ კრივში, დიდი ჯო ლუისის, რომელიც 1937-დან 1949 წლამდე ფლობდა მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონობას და 25-ჯერ დაიცვა უძლიერესის სახელი, მიღწევები სარეკორდო შედეგად რჩება და ალბათ არც გაუმჯობესდება.

ჯო ლუისი

ლუისის უნიკალურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ოციანი წლების მსოფლიო ჩემპიონ ჯეკ დემპსის მაგვარ საშინელი ძალის დარტყმასთან ერთად, რინგზე კიდევ ბევრი რამ შეეძლო, და მაინც, თავისი ტალანტის გაფურჩქვნის ხანაში, ჯო გადაურჩა სამარცხვინო წაგებას მეტოქესთან, რომელიც აღიარებული პანჩერი (ასე უწოდებენ უძლიერეს დარტყმის მოკრივეს) კი არა, მძიმეწონისაც არ ყოფილა.

ორმოციანი წლების დასაწყისში ირლანდიელი წარმოშობის ამერიკელმა ბილი კონმა ორჯერ ზედიზედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული ქვემძიმე წონაში. იგი იმდენად აღემატებოდა ყველა მეტოქეს, რომ დარწმუნებული იყო მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონსაც რომ სძლევდა. თუმცა ქვემძიმე წონის ზღვრამდე აკლდა კილოგრამები, 76-ს იწონიდა. ამიტომაც ლუისთან შეხვედრის წინ 3 კგ წაუმატეს.

პირველ რაუნდში კონი იატაკზე აღმოჩნდა. ეს ნამდვილი ნოკდაუნი კი არა, ნერვული შოკი გახლდათ, რომელიც დასძლია და მეორე რაუნდში ტოლი დაუდო ძლიერ მეტოქეს, რომელიც თითქმის 15 კგ-ით აღემატებოდა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, ვიდრე კონმა თავისი უპირატესობა — სისწრაფე არ ჩართო ბრძოლაში. მე-10 რაუნდში იგი მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას, მე-11 და მე-12-ში კი გადამწყვეტ იერიშებზე გადავიდა. ჯო აშკარად შედრკა კიდეც. მე-13 რაუნდში, იგრძნო რა გამარჯვების მოახლოვება, კონი აჰყვა ემოციას და საბედისწეროდ შეცდა. მისი ქულები თავს გადაუვიდოდა გამარჯვების მოსაპოვებლად. ამისათვის ბოლო სამი რაუნდი უნდა ბოლომდე მიეყვანა, მაგრამ დაავიწყდა მეტოქის დარტყმის ძალა და მისი „დანოკაუტება" გადაწყვიტა. დაივიწყა დაცვა და დიად მიიტანა იერიში. რაუნდის მიწურულში სცადა მარცხენა იღბის დარტყმა და აქვე ლუისის მარჯვენამ გააპო ჰაერი, დაასწრო მის მარცხენას, საფეთქელში მოხვდა. ამის შემდეგ ბრძოლის ბოლომდე მიყვანა, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. რაუნდის დამთავრებამდე 2 წამით ადრე ბილი ძირს დაენარცხა.

ლუისი და კონი კარგი მეგობრები იყვნენ და იმ ბრძოლის გახსენება უყვარდათ. დიდი ხნის შემდეგ მათ შესთავაზეს ენახათ მათი ბრძოლა აღბეჭდილი ფირზე, რომელიც კრივის კლასიკად აღიარეს. „ჯო, მე არ წამოვალ, — უთხრა ბილიმ, — მაგრამ თუ ამ ფილმის დაბოლოება შეცვალეს, აუცილებლად დამიძახე". ერთი საათის შემდეგ გახარებულმა ლუისმა აცნობა: „ბილი, არ დაიჯერებ! — კვლავ მე მოვიგე".

ამ ბრძოლიდან 10 წლის შემდეგ ხანშიშესული, სისწრაფე და რეაქცია დაკარგული ჯო შეებრძოლა ამომავალ ვარსკვლავ როკი მარჩიანოს და თავიდან ქულებით დამაჯერებლად ლიდერობდა. მე-8 რაუნდში როკის ძლიერი „ჰუკი" მოხვდა და დაკარგა ყოველგვარი ორიენტაცია. ამას რამდენიმე ძლიერი დარტყმა მოჰყვა, ბოლო — მარჯვენამ ყბაში ჯო რინგის თოკებს შორის „გააფრინა" და ძირს დაეცა. რინგზე დარჩა ცალი ფეხი. ასე სიმბოლურად დამთავრდა მისი კარიერა. მას აღარაფერი ესაქმებოდა რინგზე, სადაც იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება გახდა. მარჩიანომ იმ დარტყმას „ყველაზე ნაღვლიანი" უწოდა. გვიან კი აღიარებდა, რომ ვერაფრით ვერ მოერეოდა ლუისს, როცა იგი თავისი კარიერის ზენიტში იყო.

მწვერვალის სიმაღლე დააზუსტეს

გერმანია-ტანზანიის ექსპერტთა ერთობლივმა ექსპედიციამ დააზუსტა, რომ აფრიკის უმაღლესი მწვერვალი კილიმანჯარო ოთხი მეტრით დაბალია იმასთან შედარებით, დღემდე რომ ითვლებოდა.

1950 წელს ინგლისელმა ტოპოგრაფებმა ჩვეულებრივი აღჭურვილობით განსაზღვრეს მასივის სიმაღლე — 5896 მეტრი, და მას შემდეგ ეს ციფრი აღინიშნება უმრავლეს გეოგრაფიულ რუკაზე. მათ სიმაღლე გამოიანგარიშეს ხელსაწყოებით, რომლის მოქმედება დაფუძნებულია ტრიგონომეტრიულ მეთოდებზე, მაგრამ სინათლის რეფრაკციის შედეგად გაზომვაში შეცდომა გაიპარა.

კარლსრუესა და დარ-ეს-სალამის უნივერსიტეტების სწავლულები ავიდნენ კილიმანჯაროს მწვერვალ კიბოზე და ჩატარებულ გაზომვაში გამოიყენეს დედამიწის თანამგზავრიდან მიღებული სიგნალები. კილიმანჯარო პირველია, რომლის სიმაღლე მოწინავე ტექნოლოგიის საშუალებით დადგინდა. აფრიკის დიდებული მთის სიმაღლესთან ერთად დადგინდა მისი ზუსტი ადგილსამყოფელი. როგორც მასზე ასული ტოპოგრაფიის სპეციალისტები თვლიან, შეიძლება სიმაღლეში სამი, ადგილმდებარეობაში კი ორი სანტიმეტრით იყოს „გადახრა"...

ტანზანიაში გაზომვის შედეგებს გულაცრუებულნი შეხვდნენ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მწვერვალზე ამსვლელთა სურვილის შემცირებას. ტურისტთა განსაკუთრებით დიდი ნაკადია მოსალოდნელი ახალი, ორიათასწლეულის წინა სეზონში.

იუმორი

შერეული კროსვორდი

თარაზულად: 5. სპორტის სახეობა, 6. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე მამაკაცი, 8. ქვეყანა, სადაც მუშაობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, 11. ფეხბურთში 1966 წ. მ/ჩ მონაწილე, ინგლისის ნაკრების წევრი, 14. ქართული სასმისი, 15. ცხვრის ნაშიერი, 16. ფულის ერთეული საფრანგეთში, 17. დროის 10-დღიანი მონაკვეთი, 21. კინოფილმ „მონანიების" პერსონაჟის გვარი, 22. „ჩელსის" იტალიელი მწვრთნელი, 23. უდანაშაულობის დასაბუთება, 26. ქართველი ლეგიონერი ფეხბურთელი, 27. ცნობილი კოლუმბიელი ფეხბურთელი — თავდამსხმელი, 28. ცნობილი ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი.

შვეულად: 1. ბათუმისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, 2. სპორტის სახეობა, 3. ქართული ლეგიონერი ფეხბურთელი, 4. რაიონული ცენტრი სამეგრელოში, 7. ცნობილი სტადიონი მექსიკაში, 9. ზამთრის ოლიმპიური თამაშების (1992) მასპინძელი საკურორტო ქალაქი, 10. სამუდამო ანუ... 12. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი, 13. თხოვნა, რომელიც უნდა შესრულდეს ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, 19. საწყაო, მეოთხედი... 20. ცის კამარა, ანუ... 24. ფეხბურთში 1998 წ. მ/ჩ. მონაწილე ავსტრიის ნაკრების წევრი, 25. სამკაული.



მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



3 დეკემბერი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. იბერია. ბურთი და მოედანი (9.15, 18.45), ***კავკასია.*** „სპორტი, სპორტი, სპორტი" (17.50), ვარსკვლავები (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული გადაცემა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***HTB плюс футбол.*** ჰოლანდიის ჩემპიონატი (15.05), შოტლანდიის ჩემპიონატი. გლაზგო რეინჯერსი – დანდი (19.15), მაზერუელი – სელტიკი (21.00), გერმანიის ჩემპიონატი (22.55, პირდაპირი რეპორტაჟი). ***HTB плюс спорт.*** ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი (11.40, 0.20). ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.10), ჩოგბურთი. დევისის თასი (16.30), ტაილანდური კრივი (1.05). ***ESPN.*** ფრენბურთი: იაპონია – რუსეთი (12.00, 0.00), აშშ – ჩინეთი (1.30). ***EUROSPORT.*** ბიატლონი. მსოფლიო თასი (13.00, 16.00, 19.30), სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი. ვაჟები (22.00), საპარაშუტო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (23.00), ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (1.00).

4 დეკემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „სტადიონი" (19.05), ***II არხი.*** ავტოსპორტი (19.45), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.10), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 18.45). ***კავკასია.*** „სპორტი, სპორტი, სპორტი" (18.10), ვარსკვლავები (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული გადაცემა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***HTB плюс футбол.*** შოტლანდიის (13.15, 16.40), გერმანიის (14.55, 18.25), იტალიის ან ესპანეთის (23.25) ჩემპიონატები. ***HTB плюсспорт.*** კალათბურთი. ნბა (5.00, 11.15, 1.15), ჩოგბურთი, დევისის თასი (17.30). ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20.10). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (5.00, 19.00, 21.30). ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა: არსენალი – ლეიკერს სიტი (21.30), იტალიის ჩემპიონატი (23.20, პირდაპირი რეპორტაჟი), ***EUROSPORT.*** მსოფლიო თასი. სამთოთხილამურები. (13.00, 15.30, 19.00),. ბიატლონი (14.00, 17.00), ბობსლეი (21.00), ციგაობა (23.00). მოტორბოლი. მსოფლიო ჩემპიონატი (3.00, 3.30, 4.00).

5 დეკემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. კავკასია. „ბრძოლა წესების გარეშე" (16.00), ფეხბურთის ლეგენდები (18.10), ვარსკვლავები (21.00), ***HTB плюс футбол.*** გერმანიის (13.15), იტალიის (15.00), ესპანეთის (17.15), საფრანგეთის (19.15), ინგლისის (19.55), იტალიის (21.30), ესპანეთის (23.25) ჩემპიონატები. ***HTB плюс спорт.*** ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი (11.40, 1.05). ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.40, 23.30). ჩოგბურთი. დევისის თასი (16.30), ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი (6.00), ინგლისის პრემიერ-ლიგა (19.00), ესპანეთის ჩემპიონატი (21.00), [illegible] (2.00). ***EUROSPORT.*** [illegible] ბიათლონი (13.00, 17.00), [illegible] (14.30, 15.45), ტრამპლინი (15.00, 16.30), [illegible] (3.30), ციგაობა (23.00).

საჭადრაკო ამოცანა

გიგი მოსიაშვილი
„შახმატ ვ სსრ", 1973 წ.



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. [illegible]f4! 1. ...[illegible]g4 2. [illegible]f2X. 1. ...d4 2. [illegible]f3X 1. e3 2. [illegible]b4X.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. შერპა, 6. ნორგეი, 7. [illegible], 10. ბანაკი, 11. [illegible], 15. ალამი, 17. [illegible], 18. უშბა, 20. [illegible], 21. [illegible], 22. [illegible], 23. [illegible], 24. [illegible], 25. [illegible]. **შვეულად:** 1. ხერგიანი, 2. ექსპედიცია, 4. [illegible], 5. [illegible], 8. [illegible], 9. [illegible], 12. [illegible], 13. ალპინი, 14. [illegible], 16. [illegible], 19. [illegible].

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელო" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: [illegible] წოწორია, ნანი რამიშვილი. დიზაინერ-პროგრამისტი ირინე [illegible].